UDC 323.325 / 297.8
SCOPUS CODE 3320
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-365-394

# „დაიშის“ ფენომენი - შექმნის ისტორია

**ზვიად ტყაბლაძე** პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: tkabladze.zviad@gtu.ge

**რეცენზენტები:**
**თ. კიკნაძე,** სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: kiknadzetamar12@gtu.ge
**მ. მანჩხაშვილი,** სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი
E-mail: manchkhashvilimaia07@gtu.ge

**ანოტაცია.** სტატია ეძღვნება მსოფლიოს ყველაზე სასტიკი ტერორისტული ორგანიზაციის, „დაიშის“ (ისლამური სახელმწიფო, IS, ISIS, ISIL), შექმნის ისტორიას. კვლევის მიზანია „დაიშის“ წარმოშობის მიზეზების გარკვევა, თუ რა წინაპირობებმა შეუწყო ხელი ასეთი ორგანიზაციის ჩამოყალიბებას. ბოლო წლებში, „ისლამური სახელმწიფო“ ახლო აღმოსავლეთში ძლიერი მოთამაშე გახდა, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა არა მხოლოდ რეგიონის ქვეყნებს, არამედ მთელი მსოფლიოს სტაბილურობასა და მშვიდობას. „დაიში“ ფანატიკოსთაგან შექმნილი საბრძოლო მანქანაა, რომლის მიზანია თავისი იდეოლოგიის გავრცელება მსოფლიოში და თეოკრატიული სახალიფოს შექმნა. იგი დაფუძნებულია ექსტრემისტულ-ისლამისტურ იდეოლოგიაზე, რომელიც უარყოფს სხვა სარწმუნოებისა და შეხედულებების მქონე ადამიანთა უფლებას ცხოვრებაზე.

აღზევების პერიოდში, 2014–2015 წლებში, „დაიშის“ რიგებში ირიცხებოდა 30 ათასიდან 200 ათასამდე ტერორისტი და აკონტროლებდა 100,000 კვ. კმ. ტერიტორიას ერაყსა და სირიაში, რამაც ხელი შეუწყო მზარდ ქაოსს და უკვე სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა საერთაშორისო უსაფრთხოებას. ამიტომ, აშშ-ის ხელმძღვანელობით შექმნილმა გლობალურმა კოალიციამ, ერაყის არმიამ და სხვა რეგიონალურმა გასამხედროებულმა დაჯგუფებებმა ისლამისტების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს და 2019 წელს მისი განადგურება გამოცხადდა.

მართალია, დაჯგუფების რესურსები როგორც ადამიანური, ფინანსური, ისე შეიარაღებისა და

ტერიტორიული, ეტაპობრივად, ჯერ 2017-ში, შემდეგ კი 2019-ში თითქმის გაქრა, „დაიში“ კვლავ არსებობს მცირედი უჯრედების სახით და ზიანის მიყენების უნარი კვლავ შენარჩუნებული აქვს, მის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა.

**საკვანძო სიტყვები:** „დაიში“; „ისლამური სახელმწიფო“; საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.

## შესავალი

საერთაშორისო ტერორიზმი გახდა გლობალურად საშიში მოვლენა, რომელიც ხელს უშლის კაცობრიობის, საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას და ბევრი სპეციალისტის აზრით, ასიმეტრიული პასუხია გლობალიზაციის გამოწვევებზე. ტერორიზმი მჭიდროდ უკავშირდება ისეთ მოვლენებს, როგორიცაა სეპარატიზმი, რელიგიური ფუნდამენტალიზმი, ექსტრემიზმი, რადიკალიზმი, ფანატიზმი. დღეისათვის მსოფლიოში მრავალი ტერორისტული დაჯგუფება თუ ორგანიზაცია არსებობს, რომელთა „საქმიანობას“ უამრავი ადამიანის სიცოცხლე ეწირება, ისინი ხდებიან ძალადობის, დევნის და ჩაგვრის მსხვერპლი. მათ შორის „გამოჩენილი“ ადგილი უკავია ყველაზე სასტიკ და უმსხვილეს „ისლამურ სახელმწიფოს“ (იგივე „დაიში“, IS, ISIS, ISIL).

სტატიის მომზადების მიზანია „დაიშის“ წარმოშობის მიზეზების გარკვევა, რა წინაპირობებმა შეუწყო ხელი ასეთი ორგანიზაციის ჩამოყალიბებას. ბოლო წლებში ISIS-ი გახდა ნამდვილი ძლიერი მოთამაშე ახლო აღმოსავლეთში, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა არა მხოლოდ რეგიონის ქვეყნებს, არამედ მთელი მსოფლიოს სტაბილურობასა და მშვიდობას.

2011 წელს დაწყებულმა „არაბულმა გაზაფხულმა“ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში გამოიწვია ძირეული, ფუნდამენტური ცვლილებების ახალი ეტაპი. დიქტატორული რეჟიმების ძველი სისტემა დაიშალა, რის შემდეგ დაიწყო მართვის ახალი მოდელების „შენჯღრევის“ პროცესი, რომელიც სრული არეულობით და ანარქიით დასრულდა ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში.

„დაიში“ ისლამისტ ფანატიკოსთაგან შექმნილი საბრძოლო მანქანაა, რომელსაც, ისტორიულ პერსპექტივაში სურს სწრაფად გადაჭრას ძალადობრივი ჯგუფების გარკვეული სურვილები კონკრეტულ სახელმწიფოში და შემდგომ გაავრცელოს თავისი ისლამისტური იდეოლოგია მსოფლიო მასშტაბით. ISIS-ის მიზანია თეოკრატიული სახალიფოს შექმნა.

იგი დაფუძნებულია ექსტრემისტულ იდეოლოგიაზე, რომელიც უარყოფს სხვა სარწმუნოების და შეხედულებების ადამიანთა უფლებას ცხოვრებაზე.[1]

„დაიშის“ მებრძოლთა ზუსტი რაოდენობა უცნობია. შეფასებებს შორის სხვაობა დიდია და მისი აღზევების პერიოდში მათ რიგებში ირიცხებოდა 30

[1] **სახალიფო** (არაბ.: **خلافة**; ტრანსლიტ.: ხილაფა; ინგლ.: Caliphate - მემკვიდრეობითობა, ჩანაცვლება) – თავიდან არაბულ-მუსლიმური სახელმწიფო, შექმნილი წინასწარმეტყველ მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ, რომელსაც შემგომ მართავდნენ ხალიფები (არაბ.: **خليفة**; ინგლ.: Caliph - ნაცვალი, მოადგილე, მემკვიდრე) მმართველობის ქვეშ მყოფი და ასევე ისლამური თეოკრატიული სახელმწიფო სისტემა.

ათასიდან, 200 ათასამდე ტერორისტი მებრძოლი. დღეისათვის შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სხვადასხვა მონაცემით მათი რიცხვი არ აღემატება 10-15 ათასს, რომლებიც მიმოფანტული არიან სირიის, ერაყისა და ავღანეთის სხვადასხვა რაიონში და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ფარული იატაკქვეშა უჯრედების სახით მოქმედებენ.

ISIS-ის ძირითადი ხერხემალია ერაყელი დიქტატორის, სადამ ჰუსეინის არმიის ყოფილი ძალოვნები, თუმცა პროპაგანდის და წარმატებების შედეგად მისი წევრების რიცხვი იზრდებოდა უცხოელების ხარჯზე, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. მათ მიერ ჩადენილი სასტიკი მკვლელობების ვიდეოფირების გავრცელებამ ინტერნეტში, იდეოლოგიის პროპაგანდამ, შექმნა ძლევამოსილების ილუზია, განსაკუთრებით ფსიქიკურად გაუწონასწორებელ ახალგაზრდებში, რომლებიც საკუთარ თავს თვლიდნენ საზოგადოებიდან გარიყულად. მათ „დაიშის“ იდეოლოგია ჩუქნიდა ოჯახის, უბრალო და „მართალი“ ცხოვრების ილუზიას, „არჩევითობის“ განსაკუთრებულობის შეგრძნებას.

აღზევების პერიოდში, 2014–2015 წლებში, „დაიში“ აკონტროლებდა 100, 000 კვ. კმ. ტერიტორიას, 12 მლნ. მოსახლეობით. მან მოიპოვა კონტროლი მსხვილ ქალაქებზე, ერაყის მოსულზე (ალ-მავსილ) და სირიის რაკაზე (არ-რაკა), რამაც ხელი შეუწყო მზარდ ქაოსს ახლო აღმოსავლეთში [18]. „დაიშის“ გეოგრაფიული არეალი უკვე სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა სირიისა და ერაყის ტერიტორიულ მთლიანობას და მოსახლეობის უსაფრთხოებას. ამიტომაც, 2014 წლის სექტემბერში აშშ-ის ხელმძღვანელობით შექმნილმა გლობალურმა კოალიციამ (Global Coalition against Daesh, ირიცხება 89 წევრი–პარტნიორი), ერაყის არმიამ და სხვა რეგიონალურმა გასამხედროებულმა დაჯგუფებებმა ისლამისტების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს და 2019 წელს მისი განადგურება გამოაცხადეს [32].

## ძირითადი ნაწილი

### 1. „ისლამური სახელმწიფოს“ წარმოშობის მიზეზები

საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“ (არაბ.: **الدّولة الإسلاميّة**; ტრანსლიტ.: „ად-დავლათ ალ-ისლამია“; ინგლ.: Islamic State, IS), რომელმაც ამ სახელწოდებით 2014 წლის 30 ივნისიდან ოფიციალურად დაიწყო არსებობა, თავდაპირველად ცნობილი იყო, როგორც „ერაყისა და შამის (სირიის) ისლამური სახელმწიფო“ (არაბ.: **الدولة الإسلامية في العراق والشام**/ ტრანსლიტ.: „ად-დავლათ ალ-ისლამია ფი ალ-ირაკ ვა აშ-შამ“; ინგლ.: Islamic State of Iraq and Al-Sham, ISIS), ან „ერაყისა და ლევანტის[2] (აღმოსავლეთი) ისლამური სახელმწიფო“ (ინგლ.: Islamic State of Iraq and Levant, ISIL) [23].

დასავლურ მედიაში ახალ ტერორისტულ ორგანიზაციაზე დაიწყეს საუბარი 2013 წელს, როცა მოდიოდა ინფორმაცია მასობრივ მკვლელობებსა და საჯაროდ სიკვდილით დასჯის შესახებ. 2014 წლის ივნისში ტერორისტებმა გამოაცხადეს „სახალიფო“ და საკუთარ თავს „ისლამური სახელმწიფო“ უწო-

[2] **შამი** (არაბ.: **الشام**; ტრანსლიტ.: აშ-შამ) - ხმელთაშუაზღვისპირეთის აღმოსავლეთი ნაწილის ქვეყნების საერთო სახელწოდება, **ლევანტი** (მოდის ფრანგ.: levant - მზის ამოსვლა) – აშ-შამის სინონიმი

დეს. საგულისხმოა, რომ 2015 წლიდან მსოფლიო მედიაში დაიწყეს IS-ის არაბულ ყაიდაზე „დაიშ“-ით (არაბ.: داعش; Dāʿish, ინგლ.: Daesh) მოხსენიება, რაც არაბული სახელწოდების აკრონიმია. ეს გაკეთდა იმისთვის, რომ თავი აერიდებინათ სიტყვა „სახელმწიფოს“ ლეგიტიმაციისთვის, რომელიც IS-ის აბრევიატურაშია. ითვლება, რომ „დაიში“ უფრო დამამცირებელი, საწყენი სიტყვაა თვით ტერორისტებისთვის.

გავლენიანი ამერიკული ანალიტიკური ცენტრის – დაზვერვისა და უსაფრთხოების სფეროში, The Soufan Group (TSG)-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი რიჩარდ ბარეტი (Barret Richard) პუბლიკაციაში The Islamic State აღნიშნავდა, რომ IS-ის შექნას, გაძლიერებას და გაფართოებას ხელი შეუწყო რამდენიმე ფაქტორმა:

პირველი – ღრმა კონფესიათაშორისი ნაპრალი, იყო ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რამაც განსაზღვრა ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა ირანის 1979 წ. ისლამური რევოლუციის შემდეგ, მაგრამ გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა ირანის რეგიონალური გავლენის ზრდის გათვალისწინებით, 2003 წელს აშშ-ის ერაყში შეჭრის შედეგად.

მიუხედავად „დაიშის“ აშკარა საფრთხისა მთელი რეგიონის სტაბილურობისათვის, რელიგიურ ნიადაგზე გახლეჩილი ქვეყნები განიხილავდნენ მას, უფრო ნაკლებ საფრთხედ, ვიდრე მათ მოწინააღმდეგეებს. სანამ ეს ვითარება არ შეიცვლება, „ისლამური სახელმწიფო“ არ შეეჯახება ძლიერ რეგიონალურ ოპოზიციას.

მეორე – არაბული სამყაროს სრული უნდობლობა მათი მმართველების მიმართ. ეს ვრცელდება არა მარტო ერაყსა და სირიაზე, არამედ ბევრ ქვეყნაზე ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში. სანამ სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლება არ დააკმაყოფილებს ხალხის მოლოდინებს, ყოველთვის იარსებებს ახალწვეულების ნაკადი „ისლამურ სახელმწიფოში“. ასევე შიშმა ტერორიზმის წინაშე, შიგა თუ გარედან შემოსულმა, შეიძლება გამოიწვიოს შემდგომი რეპრესიები და ნაკლოვანებები მმართველობაში.

მესამე – საერთაშორისო კოალიცია აშშ-ის მეთაურობით, შემდგარი პარტნიორებისა და ერებისგან, რომელიც გამოდის IS-ის წინააღმდეგ, წარმოადგენს ბევრი მუსლიმისთვის მთელ მსოფლიოში იმის მტკიცებულებას, რომ მათ რელიგიაზე და დამოუკიდებლობაზე ხდება თავდასხმა დასავლეთის ხელმძღვანელობით. IS-ი კი ცდილობდა პოტენციურ მომხრეთა დარწმუნებას, რომ არამუსლიმური სამყარო გააკეთებს ყველაფერს, რომ დაიცვას ადგილობრივი მმართველები, რითაც შეიქმნება გარანტია, რომ მათი დისკრიმინაციული და არარელიგიური პოლიტიკა ძალაში დარჩება [4].

„დაიშის“ ლიდერთა უმეტესობა, ვინც იღებდნენ გადაწყვეტილებებს - მსახურობდნენ დიქტატორ სადამ ჰუსეინის არმიაში ან სპეცსამსახურებში,[3] ხოლო ერაყის მმართველი პარტია „ბაასის“[4] ვერტიკა-

[3] **სადამ ჰუსაინ აბდ ალ-მაჯიდ ალ-თიქრითი** (არაბ.: صدام حسين عبد المجيد التكريتي; ინგლ.: Saddam Hussein Abd al-Majid al-Tikriti, 1937-2006 წწ.), ერაყის დიქტატორი, პრეზიდენტი 1979-2003 წლებში.

[4] **„ბაასი“** (აღორძინება; არაბ.: حزب البعث العربي الاشتراكي في العراق/ ტრანსლიტ.: Ḥizb al-Baʿth al-'Arabī al-Ishtirākī fī al-'Irāq; ინგლ.: Arab Socialist Ba'ath Party - Iraq Region)


ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

ლური სტრუქტურა ნებისმიერი ისლამური მოძრაობის „საერო“ სახელისუფლებო ალტერნატივას წარმოადგენდა. ახლა კი „საერო“ ბაასიზმი დაბრუნდა ერაყში, მაგრამ უკვე ისლამური ფუნდამენტალიზმის სახით [27].

„დაიშის“ შექმნის მაპროვოცირებელი ფაქტორი უდავოდ „არაბული გაზაფხული“[5] იყო, რამაც გამოიწვია ტექტონიკური ძვრების ახალი ეტაპი. დიქტატორული რეჟიმების ძველი სისტემა, რომელიც მრავალი ათწლეულის განმავლობაში იყო პასიონარული მასების შეკავების სანდო საშუალება, დაიმსხვრა და გამოიწვია პოლიტიკური არასტაბილურობის ეპოქის დასაწყისი. ძალაუფლების ვაკუუმი პირველ ეტაპზე ეგვიპტეში დაარსებული პანისლამისტური „ძმები მუსლიმების“[6] მიერ შეივსო.

ძველი პოლიტიკურ-ეკონომიკური ელიტის გადაყენებამ ასევე გამოიწვია ბაზრის ხელახალი გადანაწილება. შედეგად საზოგადოებაში გაჩნდა უკმაყოფილების ახალი ტალღა, პოპულარული გახდა აზრი „გაყიდული რევოლუციური იდეალების“ შესახებ და დაიწყო ახალი გზების ძიება „სოციალური სამართლიანობის“ ხელახლა აღსადგენად. თავისთავად, ასეთი განწყობა არ ბადებს „ჯიჰადის“[7] ფართო მასშტაბებს, თუმცა საკმარისი აღმოჩნდა, ამ მოვლენის სტიმულირებისთვის ფულისა და პოლიტიკური ნების მეშვეობით [21].

„დაიშის“ ჩამოყალიბების კიდევ ერთი მიზეზი აღმოჩნდა 2003 წლის მარტში აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის[8] მიერ ერაყის რესპუბლიკაში სამხედრო ოპერაციის დაწყება ერაყის „მასობრივი განადგურების იარაღის“ (WMD) მოსპობისა და სადამ ჰუსეინის დიქტატორული მმართველობის დასრულების მიზნით. განცხადებები, რომ სადამ ჰუსეინს გააჩნდა WMD და მხარს უჭერდა ტერორისტებს, არ დადასტურდა.

ამ ინტერვენციამ, მკვეთრად შეცვალა ერაყში ძალაუფლების ბალანსი, რომელიც პოლიტიკურ და სამხედრო სფეროებში სუნიტების დომინირებით,

[5] **არაბული გაზაფხული** (არაბ.: **الربيع العربي**; ტრანსლიტ.: არ-რაბი ალ-არაბი; ინგლ.: The Arab Spring;) - პროტესტების და აჯანყებების ტალღა არაბულ სამყაროში. რევოლუციები მოხდა თუნისში, ეგვიპტეში, იემენში, ლიბიაში, სირიაში, ბაჰრეინში, ალჟირში, ერაყში, იორდანიაში, მაროკოში, ომანში, ქუვეითში, ლიბანში, მავრიტანიაში, საუდის არაბეთში, სუდანში, ჯიბუთში და დასავლეთ საჰარაში, იყო შეტაკებები ისრაელის საზღვართან. ყველაფერი დაიწყო 2011 წ. 4 იანვარს, თუნისელი ხილით მოვაჭრე მუჰამად ბუაზიზის თვითმკვლელობით (თავი დაიწვა), პოლიციის კორუფციის და სასტიკი მოპყრობის გამო, რამაც დასაბამი მისცა რევოლუციაში გადაზრდილ მასობრივ აჯანყებას თუნისში. ძირითადი ლოზუნგი იყო „ხალხს სურს რეჟიმის დაცემა“.

[6] **ძმები მუსლიმები/მუსლიმთა საძმო** (არაბ.: **المسلمون الإخوان**; ინგლ.: Muslim Brothers/Muslim Brotherhood, MB; სრულად **„მუსლიმი ძმების საზოგადოება“;** არაბ.: „ჯამაათ ალ-იხვან ალ-მუსლიმუნ“; ინგლ.: Society of the Muslim Brothers) მოიხსენიებენ ხშირად მოკლედ „იხვანები“ (არაბ.: ძმები). რელიგიურ-პოლიტიკური, პანისლამისტური სუნიტური მიმართულების რადიკალური ორგანიზაცია, დაარსებული მასწავლებლის, იმამის და შეიხის ჰასან ალ-ბანას (Hassan al-Banna; 1906-1949 წწ.) მიერ ეგვიპტეში 1928 წ. MB-ს ბევრი მიმდევარი ჰყავს მსოფლიოში და გავლენით სარგებლობს მუსლიმურ ქვეყნებში. მისი სტატუსი არაერთგვაროვანია – ლეგალურად იმყოფება 17 არაბული ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში და მასთან დაკავშირებულ პარტიებს ადგილები აქვს პარლამენტში და იმავდროულად ითვლება ერთ-ერთ პირველ ტერორისტულ ორგანიზაციად და აკრძალულია ბევრ ქვეყანაში, პირველ რიგში ეგვიპტეში, სირიაში, ასევე ყურის ქვეყნებში – საუდის არაბეთში, საამიროებში, ბაჰრეინში.

[7] **ალ-ჯიჰად** (არაბ.: **الجهاد**; ინგლ.: Jihad). სიტყვასიტყვით „ძალისხმევა“. გაგება ისლამში, რომელიც ნიშნავს ძალისხმევას ალაჰის გზაზე, ბრძოლად სარწმუნოებისათვის, საღვთო ომი ისლამის გავრცელებისთვის.

[8] **ჯორჯ უოკერ ბუში უმცროსი** (George Walker Bush, დაბ. 1946 წ.) - აშშ-ის 43-ე პრეზიდენტი 2001-2009 წლებში და ტეხასის შტატის 46-ე გუბერნატორი (1995-2000 წლებში), რესპუბლიკელი.

სხვა საკითხებთან ერთად, შიიტური ირანის საპირწონეს წარმოადგენდა.[9] ერაყელი შიიტები,[10] რომელთა რიცხვი ერაყის საერთო დემოგრაფიულ შემადგენლობაში 69 %-ს აღწევდა, იმ დროისთვის, გარკვეულწილად „დაჩაგრულ“ სეგმენტს წარმოადგენდა. მოსახლეობის 29-34%-ს სუნიტი არაბები წარმოადგენდნენ, შიიტები კი – 64–69%-ს. მთლიანობაში, 2015 წლის მონაცემებით, ერაყის მოსახლეობის 75–80%-ს არაბები, 15–20%-ს ქურთები, ხოლო დანარჩენ 5%-ს წარმოადგენდა სხვადასხვა ხალხი – თურქმენები, ეზიდები, ასირიელები, ირანელები და ა. შ. [19].

საბჭოთა კავშირის დახმარებით, კბილებამდე შეიარაღებული სადამ ჰუსეინი ათწლეულები ფართოდ უჭერდა მხარს სუნიტ უმცირესობას (მათი წარმომადგენელი იყო), შედარებით ღარიბი შიიტი უმრავლესობის ხარჯზე. შიიტურ რაიონებში, არ ყოფილა მასობრივი შეიარაღებული წინააღმდეგობა, თუმცა, ქვეყნის სამხრეთში, მიუხედავად წარუმატებლობისა, მაინც ფუნქციონირებდნენ პროირანული ჯგუფები. ამავე დროს, ერაყში მცხოვრებმა ქურთებმა (რომლებსაც ასევე სადამ ჰუსეინის რეჟიმი დევნიდა, ავტ.) იმთავითვე დაიწყეს სახელმწიფოებრივი გამოყოფის პროცესი, ხოლო შიიტებმა ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ მოახდინეს ყველა ეკონომიკური ბერკეტის მონოპოლიზება.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ შიიტური ელიტის აბსოლუტური უმრავლესობა წინასწარ იყო დაპროგრამებული პროირანული ორიენტაციით. ამ მხრივ თეირანის გავლენა იმაზე სწრაფად გაიზარდა, ვიდრე შესაძლებელი იყო და ამერიკელების ყველა მცდელობა ერაყის სახელმწიფო სისტემაში ჩამოყალიბებულიყო სამართლიანი, პროპორციული წარმომადგენლობითი სისტემა, ყველა ეთნოკონფესიური ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებით, წარუმატებლად დასრულდა. რატომ გაუნაწილებდნენ შიიტები ძალაუფლებას სუნიტთა კონფე-

[9] **სუნიტები** არიან „სუნას“ (არაბ.: **سنة**; ტრანსლიტ.: სუნნა – ჩვეულება, მაგალითი) მიმდევრები, რომლებიც უწოდებენ საკუთარ თავს „თემის თანხმობის და სუნას ხალხს“ არაბ.: **أهل السنة والجماعة**; ტრანსლიტ.: აჰლ ას-სუნა ვა ალ-ჯამაათ). სუნიზმის მიმდევრები ყურანთან ერთად აღიარებენ სუნას – მუსლიმურ წმინდა თქმულებას, რომელიც ასახავს **წინასწარმეტყველ მუჰამადის** [არაბ. **مُحَمَّد**; ტრანსლ: მუჰამმად; ინგლ.: Muhammad; დაბ. 570/571 წ. ქ. მექა (ალ-მაქა) – გარდ. 632 წ. ქ. მედინა (მადინა)): არაბი რელიგიური, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ისლამის ფუძემდებელი. ისლამური დოქტრინის თანახმად იყო წინასწარმეტყველი, ანუ არაბულად ნაბი (არაბ.: نبي; ინგლ. Prophet; რუს.: Пророк) და მოციქული, ანუ არაბულად რასულ (არაბ.: **رسول**; ინგლ.: The Messenger of God; რუს.: Посланник Бога) - ღმერთის – ალაჰის (არაბ.: الله; ალ-ლაჰ) მიერ არჩეული ადამიანი, წმინდა წერილის გადასაცემად და ალაჰის მიერ ზეშთაგონებული, ადამის, აბრაამის, მოსეს, იესოს და სხვა წინასწარმეტყველთა მონოთეისტური სწავლების ქადაგებისთვის] ცხოვრებას, როგორც მაგალითი და სახელმძღვანელო მუსლიმური თემისთვის – უმისთვის ყურანის შემდეგ. სუნიზმი ყველაზე გავრცელებული, ორთოდოქსული მიმართულებაა ისლამში, მუსლიმების 85–90% მსოფლიოში სუნიტებია.

[10] **შიიტები** (არაბ.: **شيعة**; ტრანსლიტ.: შიია - მომხრეები, მიმდევრები, დაჯგუფება) რაოდენობით მეორე ისლამური შტო (შეადგენენ მუსლიმების 10-20%). შიიტები თვლიან, რომ მოციქულმა მუჰამადმა თავისი ხელისუფლება გადასცა თავის ნათესავს ხალიფა ალის (ალი იბნ აბუ ტალიბი, მუჰამადის ბიძაშვილი და სიძე, მეოთხე მართლმორწმუნე ხალიფა (656–661 წწ.), პირველი პატივსაცემი იმამი 12 იმამიდან (**იმამი** - არაბ. **إمام** - წინ მდგომი, ისლამში ლოცვის წინამძღვარი, მუსლიმი სასულიერო პირი, რომელიც განაგებს/მართავს მეჩეთს). მათი უმრავლესობა ცხოვრობს ირანში, ერაყში, აზერბაიჯანში. ისინი ასევე არიან ბაჰრეინში, ლიბანში, იემენში.


ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

სიურ ჯგუფს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ავიწროებდა მათ ყველა მიმართულებით? [21].

ერაყის რეჟიმის სახელმწიფოებრიობის დაშლის შედეგად, აშშ-მა გაანადგურა ის ერთადერთი დამბა, რომელიც აკავებდა ირანს. ამ რეგიონალური ზესახელმწიფოს მზარდი გავლენის წინააღმდეგია როგორც საუდის არაბეთის სამეფო, ისე არაბეთის/სპარსეთის ყურის[11] სხვა არაბული მონარქიების უმეტესობა. სინამდვილეში, ეს შეშფოთებები წარმოიშვა უკვე 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ და დღემდე არ გამქრალა.

2003 წელს ერაყის შიიტური უმრავლესობისთვის დე-ფაქტო ძალაუფლების გადაცემამ ირანს უდიდესი გავლენა მისცა ბაღდადის პოლიტიკაზე. წლების განმავლობაში ის მხარს უჭერდა ანტისადამურ შიიტურ ფრაქციებს საზღვარგარეთ. 2003 წლის შემდეგ კი გავლენა გაცილებით ფართო და აშკარა გახდა. ISIS-ის საფრთხის გაჩენამ კიდევ უფრო გაზარდა ირანის გავლენა. საუდის არაბეთისა და მისი მოკავშირეებისთვის ირანის ღრმა შეღწევა რეგიონში ნიშნავდა ძალაუფლების „შიიტური ნახევარმთვარის რკალის“ გაჩენას, რომელიც დააკავშირებდა ირანს, სირიას მის მმართველ ალავიტურ[12] უმცირესობასთან და ლიბანს, სადაც დიდი ხანია ჩამჯდარია თეირანის მიერ შექმნილი შიიტური დაჯგუფება. ყველა სახელმწიფო და სამხედრო სტრუქტურის განადგურებით, უკმაყოფილო ჯარისკაცების, სახელწმიფო მოხელეების და სუნიტი ოფიციალური პირების სახლში გაშვებით შეიქმნა იდეალური გარემო ჯიჰადისტური იდეოლოგიის გასავრცელებლად. სადამ ჰუსეინის ავტორიტარული რეჟიმის პირობებში სუნიტი ბაასისტები იკავებდნენ წამყვან თანამდებობებს და მართავდნენ ქვეყნის შიიტთა უმრავლესობას, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა თავიანთ თანამორწმუნე ირანთან. აშშ-ის ჩარევამ გამოიწვია სუნიტების ძალაუფლების დაკარგვა. მათი უკმაყოფილება გახდა ნაყოფიერი ნიადაგი ჯიჰადისტური იდეების გავრცელებისთვის [14].

ცნობილი ბრიტანელი ჟურნალისტი, ახლო აღმოსავლეთის სპეციალისტი, პატრიკ კოკბერნი (Patrick Cockburn) განიხილავს „დაიშის“ შექმნის რამდენიმე მიზეზს:

სალაფიტების[13] ფინანსური მხარდაჭერა – რეგიონში აშშ-ის მოკავშირე სახელმწიფოების, საუდის არაბეთისა და სუნიტური მონარქიების მიერ

[11] არაბულ სამყაროში გამოიყენება მხოლოდ ტერმინი **არაბული ყურე** (არაბ. ალ-ხალიჯ ალ-არაბია - **الخليج العربي**; ინგლ.: Arabian Gulf).

[12]**ალავიელები/ალავიტები** (არაბ.: **العلويون**/ al-'Alawiyūn), ან **ნუსაირელები** (<u>არაბ.</u>: **نصيريون** / Nuṣayriyūn' დამაარსებლის მუჰამად ბინ ნუსაირას სახელიდან). ალავიზმის მიმდევრების - სინკრეტული რელიგიის, რომელიც შეიძლება განიხილო როგორც ისლამის სპარსული მიმართულების და შიიზმის ეზოთერული განშტოება, რომლებთანაც აერთიანებთ რელიგიური, პლიტიკური და სამხედრო მოღვაწის, მეოთხე მართლმორწმუნე ხალიფა ალი იბნ აბუ ტალიბის (599–661 წწ.) კულტი, რომელიც იყო წინასწარმეტყველ მუჰამადის ბიძაშვილი, თანამებრძოლი და სიძე.

[13] **სალაფიის/სალაფიზმის** (არაბ.: **سلفية** - წინაპარი, წინამორბედები) მიმდევრები – მოძრაობა სუნიტურ ისლამში, რომელიც მოუწოდებს მუსლიმებს გაიზიარონ ადრინდელი მუსლიმური თემის, მართლმორწმუნე წინაპრების ცხოვრების წესი და რწმენა. ისინი გამოდიან ნებისმიერი სიახლის წინააღმდეგ, რომელმაც „დააბინძურა“ ისლამი, დაწყებული ყურანის განმარტებების მეთოდებით, დამთავრებული მუსლიმურ სამყაროში დასავლეთთან კონტაქტების შედეგად შემოტანილი სიახლეებით. სალაფიტებისთვის არსებობს ერთი აბსოლუტური ქცევის ნიმუში – წინასწარმეტყველ მუჰამადისა და მისი მიმდევრების ქმედებები პირველ სამ თაობაში. ამ ადრეული

ჯიჰადისტთა ნაკადისთვის ხელმისაწვდომი ღია „კორიდორი“ – ერაყსა და სირიაში მოსახვედრად, თურქეთის გავლით, სუნიტური წინააღმდეგობა ერაყსა და სირიაში [2]. ასე დაიწყო ერაყში ტერორისტული „ალ-კაიდას“[14] სტრუქტურების გააქტიურება ამერიკელთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

## 2. ერთ დროს საერთაშორისო ტერორისტი, ახლა – პრეზიდენტი

სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის[15] რეჟიმის წინააღმდეგ, 2011 წელს დაწყებულმა სამოქალაქო ომმა მრავალი შიგა თუ საერთაშორისო აქტორთა მონაწილეობით, რომელმაც ასი ათასობით მშვიდობიანი მოსახლის სიცოცხლე იმსხვერპლა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბიძგი გახდა „დაიშის“ ჩამოყალიბებისა, მის მრავალსაფეხურიან ეტაპზე.[16]

---

ისლამური ერთობის ადათ-წესები, რომელსაც სალაფიტები ისლამის „ოქროს ეპოქას“ უწოდებენ, აყალიბებს მათ იდეოლოგიას. სალაფიზმი დღესაც იცავს ადრეული ისლამის მემკვიდრეობას. მათ იდეოლოგიაში შერწყმულია უკიდურესად კონსერვატიული ისლამის მოაზროვნეთა სწავლებების ცალკეული ფრაგმენტები. სალაფიტების მთავარი იდეოლოგიური ორიენტირია **ვაჰაბიტების** სწავლებები, ცნობილი თავისი სიმკაცრით და უკომპრომისო ბუნებით. **ვაჰაბია/ვაჰაბიზმი** (არაბ.: **الوهابية**; ტრანსლიტ.: ალ-ვაჰაბია; ინგლ.: Wahhabism) – სუნიტურ ისლამში რელიგიური –პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც ჩამოყალიბდა XVIII საუკუნეში. მოძრაობას ეწოდა **მუჰამად იბნ აბდ ალ-ვაჰაბ ათ-თამიმის** (არაბ.: **مُحَمَّدُ بنُ عَبْدِ الوَهَّابِ التَّمِيْمِيُّ**; ინგლ.: Muhammad ibn Abd al-Wahhab at-Tamimi; 1699/1703–1792 წწ.) სახელი, რომელიც თავის მხრივ იყო **თაკი ად-დინ იბნ თაიმიას** (1263-1328 წწ.) მიმდევარი - არაბი თეოლოგის, მოსამართლის, ფილოსოფოსის, ეკონომისტის, „სიახლეების“ კრიტიკოსის რელიგიაში. ალ-ვაჰაბი თვლიდა, რომ ჭეშმარიტი ისლამი არსებობდა მხოლოდ წინასწარმეტყველ მუჰამადის მიმდევართა პირველი სამი თაობის „ას-სალაფ ას-სალიჰუნ“ (არაბ.: **السلف الصالحون** - წმინდანი წინამორბედები/წინაპრები, VII-IX სს.) დროს და ეწინააღმდეგებოდა ყველა გარედან შემოტანილ „ბიდას“ (სიახლეს). სალაფიზმის მიმდევრებს ვაჰაბიტებსაც უწოდებენ, მაგრამ თავად სალაფიტები ამას არაკორექტულად თვლიან. ტერმინები სალაფიზმი და ვაჰაბიზმი ხშირად გამოიყენება როგორც ურთიერთშენაცვალებადი.

[14] **ალ-კაიდა** (არაბ.: **القاعدة**; ტრანსლიტ.: ალ-კაიდა; ინგლ.: Al-Qaeda ან al-Qa'ida - ბაზა, ფუნდამენტი, ფუძე, საყრდენი); სრული სახელწოდება „ალ-კაიდა ას-სულბა“ (არაბ.: **القاعدة الصلبة;** ინგლ.: Al-Qa'idah al-Sulbah - მტკიცე საფუძველი) საერთაშორისო ტერორისტული, ულტრარადიკალური, სალაფიტური, ისლამისტური ორგანიზაცია. შეიქმნა 1988 წ. 11 აგვისტოს (ან 1980-იანი წწ.). ორგანიზაციის მიზანია ისლამურ ქვეყნებში „დიდი ისლამური სახალიფოს“ შექმნა. დაარსებიდან მოყოლებული მისი ლიდერი იყო N1 საუდელი ტერორისტი **უსამა ბინ ლადინი** (Osama bin Ladin; 1957-2011 წწ.), 2011 წლიდან კი **აიმან აზ-ზავაჰირი** (Ayman al-Zawahiri; 1951-2022 წწ.). 1998 წელს კენიასა და ტანზანიის დედაქალაქების აშშ-ის საელჩოებში აფეთქებების მოწყობის შემდეგ „ალ-კაიდამ“ მსოფლიოში N1 ტერორისტული ორგანიზაციის სტატუსი მოიპოვა. „ალ-კაიდა“ პასუხისმგებელი გახდა ტერაქტების დაგეგმვასა და განხორციელებაზე, მათ შორის აშშ-ში 2001 წ. 11 სექტემბრის ტერაქტების. ორგანიზაციის ამჟამინდელ დე-ფაქტო ლიდერად ითვლება ეგვიპტელი ტერორისტი, ზედმეტსახელით **საიფ ალ-ადილი** ანუ **„მართლმსაჯულების მახვილი“** (არაბ.: **سيف العدل**; ინგლ.: Saif al-Adel, ნამდვილი სახელი **მუჰამად სალაჰ ად-დინ ალ-ჰალიმ ზაიდან** [Mohamed Salah al-Din al-Halim Zaidan]; დ. 1960/63).

[15] **ბაშარ ალ-ასადი** (ინგლ.: Bashar Hafez al-Assad; არაბ.:**بشار حافظ الأسد**; დაბ. 1965 წ, სირიის დიქტატორი, პრეზიდენტი (17.07.2000–08.12.2024), მარშალი და „არაბთა სოციალისტური ბაასის პარტიის – სირიის რეგიონის“ (ინგლ.: Arab Socialist Ba'ath Party-Syria Region) მდივანი. 2021 წ. 26 მაისის, ბოლო, მსოფლიო საზოგადოების მიერ არაღიარებულ და არალეგიტიმურ საპრეზიდენტო არჩევნებში, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამო, მიიღო 13,540,860 ამომრჩევლის ხმა (95,19%). მისი რეჟიმი არსებობდა ძირითადად რუსეთის და ირანის მხარდაჭერით).

[16] **სირიის სამოქალაქო ომი,** იგივე **სირიის კრიზისი** (არაბ.: **الأزمة السورية**) – შეიარაღებული კონფლიქტი სირიის პრეზიდენტის ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლების ძალებსა და მათ მოწინააღმდეგეთა შორის. არეულობა დაიწყო 2011 წლის 15 მარტს საპროტესტო აქციებით, რომლებიც აპრილისთვის უკვე მთელ ქვეყანაში გავრცელდა. აქციები

ერაყის, იორდანიის და ლიბანის სპეცსამსახურები აღწერენ 39 წლის ვინმე აბუ მუჰამად ალ-ჯულანის (აჰმად აშ-შარაა, სირიის ამჟამინდელი პრეზიდენტი),[17] როგორც ტერორისტული „ალ-კაიდას“ მაღალი რანგის ხელმძღვანელს. ერაყის დაზვერვის თანახმად, ის ერთ დროს არაბული ენის მასწავლებელი იყო და შემდგომ გახდა იორდანიელი აბუ მუსაბ აზ-ზარკავის[18], „ალ-კაიდა ერაყში“ (Al-Qaeda in Iraq, AQI) ლიდერის, ახლო თანამებრძოლი. როცა აზ-ზარკავი მოკლეს 2006 წ., ალ-ჯულანიმ დროებით დატოვა ერაყი და გადავიდა ლიბანში. ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა ერაყში, მაგრამ ამერიკელებმა დააპატიმრეს და იმყოფებოდა საფილტრაციო ბანაკ ბუქაში (არაბ.: **سجن بوكا**; ინგლ.: USMIL Camp Bucca), სადაც აშშ ათავსებდა ტერორიზმში ეჭვმიტანილ პირებს (არსებობდა 2003–2009 წლებში) [1]. ქუვეითის საზღვართან ამ ბანაკში დაკავებული იყო ათი ათასობით ეჭვმიტანილი ბოევიკი, სადაც ის კლასიკურ არაბულს ასწავლიდა პატიმრებს.

13-წლიანი დამანგრეველი სამოქალაქო ომის შემდეგ, ბაშარ ალ-ასადის რეჟიმი დაემხო განსაცვიფრებელი შეტევის შედეგად, რომელსაც მეთაურობდა მეამბოხე დაჯგუფება „ჰაიათ თაჰრირ აშ-შამი“ (HTS),[19] აჰმად აშ-შარაას ხელმძღვანელობით, რომელიც ჩამოყალიბდა „ალ-კაიდას“ ფილიალიდან და დაკავშირებული იყო „დაიშის“ დამფუძნებელთან.

აჰმად აშ-შარაა დაიბადა საუდის არაბეთის დედაქალაქ არ-რიადში, სირიელი სუნიტების ოჯახში (გოლანის მაღლობებიდან) და გაიზარდა სირიის დედაქალაქ დამასკოში (ად-დიმაშკ). აშ-შარაა შეუერთდა „ალ-კაიდას ერაყში“ (AQI) 2003 წელს ამერიკელთა ერაყში ინტერვენციამდე ცოტა ხნით ადრე და სამი წლის განმავლობაში იბრძოდა ერაყის მეამბოხე მოძრაობაში. უნდა ითქვას, რომ HTS-ის ლიდერი წლები მუშაობდა ჩამოცილებაზე „ალ-კაიდადან“, მისი ფესვებიდან გამიჯვნაზე, ლეგიტიმაციის დამყარებისთვის საერთაშორისო საზოგა-

---

იყო უფრო ფართო ახლოაღმოსავლური საპროტესტო მოძრაობა „არაბული გაზაფხულის“ ნაწილი. აქციის მონაწილეები მოითხოვდნენ პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის გადადგომას, რომლის ოჯახიც მართავდა სირიას 1971 წლიდან, ასევე ბაასის პარტიის მმართველობის დასრულებას, რომელიც დაიწყო 1963 წელს.

[17] **აბუ მუჰამად ალ-ჯულანი** (არაბ.: **أبو محمد الجولاني**; ინგლ.: Abu Mohammad Al-Julani/al-Golani/al-Jawlani, ნამდვილი სახელი **აჰმად ჰუსაინ აშ-შარა** (არაბ.: **أحمد حسي الشرع**; ინგლ.: Ahmed Hussein al-Sharaa), „ალ-ჯულანი“ ფსევდონიმი კი მიუთითებს, რომ ოჯახი წარმოშობით ოკუპირებული გოლანის მაღლობებიდან [არაბ. „ჰადბათუ-ლ-ჯავლან“; ინგლ.: Golan Heights] - ამჟამად სირიელი პოლიტიკოსი, ისლამისტური მეამბოხე ორგანიზაციების ყოფილი საველე მეთაური, სირიის პრეზიდენტი 2025 წლის 29 იანვრიდან. ალ-ჯულანიმ საკვანძო როლი ითამაშა ასადის რეჟიმის ჩამოგდებასა და სირიის გარდამავალი მთავრობის (Syrian transitional government) შექმნაში.

აშშ-მა ალ-ჯულანი შეიყვანა **„განსაკუთრებით საშიში ტერორისტების“** სიაში 2013 წელს და დააწესა მასზე ინფორმაციისთვის 10 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით ჯილდო, მაგრამ სირიაში ხელისუფლების შეცვლის და მასთან აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ პირველი მოლაპარაკებების გამართვის შემდეგ დამასკოში, ბაიდენის ადმინისტრაციის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ახლო აღმოსავლეთის საკითხებში ბარბარა ლიფმა (Barbara A. Leaf) განაცხადა, რომ აშ-შარაასთან მოლაპარაკებებზე „დადებითი შეტყობინებების“ მიღების შემდეგ, მათ შორის დაპირების, რომ „ტერორისტული დაჯგუფებები“ არ წარმოადგენენ საფრთხეს, ჯილდო აშ-შარას ადგილსამყოფელის შესახებ მოიხსნება [26].

[18] **აბუ მუსაბ აზ-ზარკავი** (ინგლ.: Abu Musab al-Zarqawi; არაბ.: **أَبُو مُصْعَبٍ ٱلزَّرْقَاوِيُّ**; 1966–2006 წწ. ნამდვილი სახელი **აჰმად ფადილ ან-ნაზალ ალ-ხალაილა** (Ahmad Fadeel al-Nazal al-Khalayleh) იორდანელი ჯიჰადისტი, ტერორისტი.

[19] სირიის ამჟამინდელი პრეზიდენტი 2017 წლიდან მეთაურობდა ისლამისტურ დაჯგუფება „ჰაიათ თაჰრირ აშ-შამს“ (არაბ.: **هيئة تحرير الشام**; ინგლ.: Hay'at Tahrir al-Sham, HTS).

დოებაში, განსაკუთრებით შეერთებული შტატების თვალში.

გავლენიანი ამერიკული Foreign Policy, რათა მეტი გაეგო ალ-ჯულანის წარმოშობისა და მისი ე. წ. რებრენდინგის შესახებ, ესაუბრა აარონ ზელინს (Aaron Y. Zelin), ტერორიზმის ექსპერტს, Washington Institute for Near East Policy-დან, რომელმაც დაწერა წიგნი HTS-ის შესახებ. მისი თქმით, ალ-ჯულანი თავდაპირველად უცხოელი მებრძოლი იყო ერაყის ომში. იგი სირიიდან ერაყში გაემგზავრა და შეუერთდა ზემოხსენებულ აბუ მუსაბ აზ-ზარკავის და [მის ორგანიზაციას] „ალ-კაიდას ერაყში". მან გარკვეული დრო გაატარა ცუდი სახელით ცნობილ Camp Bucca-ს ციხეში [12].

სწორედ ალ-ჯულანი დაბრუნდა სირიაში 2011 წელს, რათა მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა „ისლამური სახელმწიფოს" (IS) და შემდეგ „ალ-კაიდას" კამპანიებში [7].

მისი გათავისუფლება დაემთხვა სირიის რევოლუციას ბაშარ ალ-ასადი დიქტატურის წინააღმდეგ. რათა შებრძოლებოდა ასადის რეჟიმს სირიის სამოქალაქო ომში, „ალ-კაიდას" მხარდაჭერით, 2012 წლის იანვარში, აშ-შარაამ შექმნა „ან-ნუსრას ფრონტი"[20] და გამოცხადდა მის „გენერალურ ამირად".[21] აშ-შარაას ხელმძღვანელობით დაჯგუფება გადაიქცა ერთ-ერთ მძლავრ ჯიჰადისტურ ორგანიზაციად სირიაში (7000-მდე მებრძოლი) [1]. მან ააშენა დასაყრდენი - ჩამოაყალიბა ტექნოკრატიული ადმინისტრაცია - „სირიის გადარჩენის მთავრობა" (Syrian Salvation Government, SSG) მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იდლიბის პროვინციაში, შემდეგ კი გახდა დასავლეთ ერაყში ნაინავას რეგიონის „ერაყის ისლამური სახელმწიფოს" ამირა, რომელიც არსებითად იყო წინამორბედი იმისა, რასაც ჩვენ ახლა „ისლამურ სახელმწიფოს" ვუწოდებთ. სირიაში აჯანყების დაწყების შემდეგ ალ-ჯულანი ესაუბრებოდა [„ისლამური სახელმწიფოს" ლიდერს] აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის (Abu Bakr al-Baghdadi) სირიის პროექტზე.

ალ-ბაღდადის არსებითად სურდა საჯაროდ ეჩვენებინა ის, რაც კულისებს მიღმა ისედაც იყო ცნობილი, რომ „ჯაბჰათ ან-ნუსრა" იგივე – „ისლამური სახელმწიფო ერაყშია" (Islamic State of Iraq, ISI), მისი ოფიციალური განყოფილება. მათ დაიწყეს ოპერაციების განხორციელება, როგორც კი სირიაში სამოქალაქო პროტესტი მილიტარიზებული გახდა და მათ უფრო მეტად მოახდინეს ინტეგრაცია ზოგიერთ მეამბოხე მოძრაობაში, განსაკუთრებით ისლამისტური ხასიათის [12]. თუმცა 2013 წ. აპრილში, ალ-ჯულანიმ უარი თქვა ალ-ბაღდადის

[20] **ჯაბჰათ ან-ნუსრა** ან **ჯაბჰათ ან-ნუსრა ლი-აჰლ აშ-შამ** (სირიის/ლევანტის ხალხის მხარდაჭერის ფრონტი; არაბ.: **جبهة النصرة لأهل الشام**; ინგლ.: Jabhat Al-Nusra/Al-Nusra Front) სალაფიტურ-ჯიჰადისტური დაჯგუფება, „ალ-კაიდას" ფილიალი სირიისა და ლიბანის ტერიტორიაზე. დაჯგუფება დაარსდა სხვადასხვა მონაცემებით 2012 წ. 23 იანვარს. 2016 წლიდან ცნობილია სახელწოდებით **ჯაბჰათ ფათჰ აშ-შამ** (სირიის დაპყრობის ფრონტი; არაბ.: **جبهة فتح الشام**; ინგლ.: Jabhat Fatah al-Sham), ასევე როგორც „ალ-კაიდა სირიაში" (Al-Qaeda in Syria, AQI) ან „ალ-კაიდა ლევანტში" (Al-Qaeda in the Levant). სირიის ომის დროს ეს დაჯგუფება ჩამოყალიბდა როგორც ერთ-ერთი უმსხვილესი და მძლავრი, სხვა დაჯგუფებებთან შედარებით

[21] **ამირა** (არაბ.: **أمير** - მბრძანებელი, ბელადი, მუსლიმების წინამძღოლი, მეთაური) - აღმოსავლეთის და აფრიკის ზოგიერთ ისლამურ ქვეყანაში მმართველის, მთავარის, თავადი ტიტული -პირველ რიგში სამხედრო ხასიათის.


ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

თხოვნაზე გააუქმოს „ან-ნუსრა“ და ამით გამოავლინა განხეთქილება გლობალურ ქსელ „ალ-კაიდაში“. ალ-ჯულანი გაემიჯნა განცხადებებს იმის შესახებ, რომ ეს ორი ჯგუფი გაერთიანდა ერთ ორგანიზაციაში, სახელწოდებით „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“ (Islamic State of Iraq and the Levant, ISIL). ეს ნაბიჯი გააუქმებდა „ან-ნუსრას“ ავტონომიას და დაუმორჩილებდა ალ-ბაღდადის. როგორც ალ-ჯულანიმ განაცხადა, მისი საბოლოო მიზანია ბაშარ ალ-ასადის ჩამოგდება და შარიათის კანონების დამყარება მთელ ქვეყანაში [1]. გარდა ამისა, ალ-ჯულანიმ იცოდა, რომ ალ-ბაღდადიმ დაიწყო ოპოზიციის აქტივისტების ლიკვიდაცია მკვლელობებითა და სხვა მეამბოხე ჯგუფებზე თავდასხმებით [12].

ალ-ჯულანის დაჯგუფება უფრო „პოპულარული“ იყო ვიდრე „ისლამური სახელმწიფო“, რომელიც ძირითადად უცხოელი ბოევიკებისაგან შედგებოდა და თავიანთი სისასტიკის და ისლამის უკიდურესად მკაცრი ვერსიის დამკვიდრების მცდელობების გამო, კრიტიკას იმსახურებდა სხვა ტერორისტების მხრიდანაც. ხოლო „ან-ნუსრა“ ძირითადად სირიელებისგან შედგებოდა, რომლებიც ამერიკელებს ერაყში ებრძოდნენ [1].

ცნობისთვის, 2012 წლის დეკემბერს Jabhat al-Nusra აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა აღიარა ტერორისტულ ორგანიზაციად და აღნიშნა, რომ ეს მხოლოდ ფსევდონიმია „ალ-კაიდას ერაყში“ (Al-Qaeda In Iraq), იგივე „ისლამური სახელმწოფოს ერაყში“ (ISI) [15].

ასე რომ, ჯიჰადისთვის ლეგიტიმურობის გარკვეული დონის შესანარჩუნებლად და ავტონომიის დაკარგვის შიშით, ალ-ჯულანიმ შეჰფიცა ერთგულება აიმან აზ-ზავაჰირის, „ალ-კაიდას“ იმდროინდელ ლიდერს.[22]

მაგრამ აზ-ზავაჰირიმ დაიწყო მებრძოლების გაგზავნა ავღანეთიდან სირიაში, რაც ალ-ჯულანის არ მოსწონდა. ამიტომ, სირიის მომავალმა პრეზიდენტმა „ალ-კაიდასთანაც“ გაწყვიტა კავშირი 2016 წლის ივლისში [12]. აიმან აზ-ზავაჰირი დათანხმდა „ან-ნუსრა“ ყოფილიყო დამოუკიდებელი ორგანიზაცია და დასახელდა „ალ-კაიდას“ ერთადერთ ლეგიტიმურ წარმომადგენელად სირიაში. „ან-ნუსრამ“ ახლა გვერდი აუარა ISI-ს და ასე გახდა ალ-ჯულანის ორგანიზაცია სირიაში „ალ-კაიდას“ პირდაპირი ფილიალი [16].

აშ-შარაას წინააღმდეგობამ აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის მცდელობებს შეეერთებინა „ალ-ნუსრა ფრონტი“ „ისლამურ სახელმწიფოსთან“, გამოიწვია ომი ორ დაჯგუფებას შორის, ხოლო 2016 წელს „ალ-კაიდასთან“ კავშირის გაწყვეტის შემდეგ, ის საერთაშორისო ლეგიტიმაციას ცდილობდა სირიის მმართველობაზე მიპყრობით და არა ტრანსნაციონალურ ჯიჰადიზმზე. 2017 წელს ალ-შარაამ გაერთიანა „ალ-ნუსრა“ სხვა ორგანიზაციებთან, რათა ჩამოეყალიბებინა „ჰაიათ თაჰრირ აშ-შამი“ (Hay'at Tahrir al-Sham, HTS). სწორედ ალ-ჯულანიმ

[22] **აიმან მუჰამად რაბი აზ-ზავაჰირი** (არაბ.: أيمن محمد ربيع الظواهري; ინგლ.: Ayman Mohammed Rabie al-Zawahiri; 1951–2022 წწ.) - ტერორისტი, უსამა ბინ ლადინის სიკვდილის შემდეგ „ალ-კაიდას“ ლიდერი, ეგვიპტელი ისლამის ღვთისმეტყველი (ჯიჰადის თეორეტიკოსი), ექიმი (ქირურგი-ოფთალმოლოგი), მწერალი. აზ-ზავაჰირი მოკლულ იქნა 2022 წლის 31 ივლისს ქაბულში

დააწესა თავისი მმართველობა 2-მილიონიან მოსახლეობაზე ჩრდილო-დასავლეთ სირიის ანკლავ იდლიბში 2017 წლიდან. სწორედ ალ-ჯულანიმ ჩამოაყალიბა მეამბოხე კოალიცია, რომელშიც დომინირებდა HTS, მშფოთვარე 12-დღიან კამპანიაში და რომელიც დასრულდა ბაშარ ალ-ასადის ჩამოგდებით.

აშ-შარაა გამოდიოდა „ალ-კაიდას“ და ISIS-ს წინააღმდეგ, ებრძოდა მათ მებრძოლებს და სასტიკად წმენდდა საკუთარ დაჯგუფებაში ორმაგ ლოიალობაში შემჩნეულ ბოევიკებს. მართალია მან ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ არ ნანობდა 2001 წელს „ალ-კაიდას“ აშშ-ზე თავდასხმის აღნიშვნას, ითვლება, რომ სირიის ახალი ლიდერი უარყოფს ხისტი ხაზის მომხრეთა ხედვებს გლობალური კამპანიის შესახებ, დასავლეთის ან ე. წ. ჯვაროსნულ-სიონისტური ალიანსის სხვა წევრების წინააღმდეგ [7].

აშ-შარაამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 2024 წლის სირიის ოპოზიციის შეტევაში, რამაც გამოიწვია ასადის რეჟიმის დაცემა და სირიის გარდამავალი მთავრობის შექმნა. ბოლო წლებში, აშ-შარაა უფრო ზომიერ შეხედულებებს იზიარებდა და მიუთითებდა, რომ მას არ სურს ომის დაწყება დასავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ და პირობა დადო, რომ დაიცავს სირიის უმცირესობებს.[23]

სირიის სპეცსამსახურები ფაქტობრივად არ აქცევდნენ დიდ ყურადღებას იარაღისა და საბრძოლო მასალის კონტრაბანდას მეზობელ ერაყში და, შესაბამისად, „მოხალისეთა“ გადინებას, ასევე თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების ე. წ. IED-ის (Improvised Explosive Device) გადატანას, რომლის მეშვეობითაც შემდგომ მასობრივი დივერსიები ეწყობოდა ამერიკის ჯარებისა და სუნიტი მოსახლეობის წინააღმდეგ. ორივემ, ირანმაც და სირიამაც ამ შემთხვევაში, მათი აზრით, შეიმუშავეს ისეთი ოპტიმალური მოდელი, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევდა აშშ-ის პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში და ხელს შეუწყობდა ამერიკელების ღრმად ჩათრევას ერაყის ომში.

### 3. „იორდანიელი ყასაბის“ შესახებ

ერაყის საზოგადოებისა და სახელმწიფო სტრუქტურების მარგინალიზაციის საერთო პირობებში, რაც ხდებოდა პოსტსადამურ ეპოქაში, „ალ-კაიდამ“

[23] თუმცა, მ/წ 6 იანვარს, სირიის ახალი რეჟიმის ძალების წინააღმდეგ ყოფილი პრეზიდენტის ლოალისტების მიერ მოწყობილ თავდასხმას ლათაკიის, ტარტუსისა და ჰამას პროვინციებში სამხედრო დაპირისპირება მოჰყვა. მსხვერპლთა უმრავლესობა ალავიტური მიმდინარეობის წარმომადგენელია, რომელიც შიიტურ განშტოებას მიეკუთვნება. ბაშარ ალ-ასადის ოჯახიც ალავიტია. ასადის რეჟიმის დროს მმართველ კლასსა და სამხედრო ძალების ზედა ფენებში სწორედ აღნიშნული მიმდინარეობა დომინირებდა. „ადამიანის უფლებათა სირიული სადამკვირვებლო ორგანიზაციის“ SOHR-ის მტკიცებით, ოპერაციის შედეგად სირიის მთავრობის 231 ოფიცერი, 250 შეიარაღებული ალავიტი და 830 სამოქალაქო პირი დაიღუპა, რომელთა უმეტესობა ახალი მთავრობის მებრძოლებმა მოკლეს. მოკლულებს შორის ალავიტი ქალები და ბავშვებიც არიან.
პარალელურად ინტერნეტში ვირუსულად გავრცელდა დეზინფორმაცია, რომლის მიხედვითაც სირიის ახალი ხელისუფლება ქრისტიანებს მასობრივად ხოცავს. X-ზე გავრცელებულ ერთ-ერთ ვიდეოში ჩანს, თუ როგორ ესვრიან ჯვარზე გაკრულ ადამიანს იარაღიდან. აღნიშნული ვიდეო 7 წლის წინანდელია, თუმცა გამავრცელებლები სირიაში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებას ცდილობენ. 9 მარტს სირიის ქრისტიანმა სასულიერო პირებმა დეზინფორმაციის საპასუხოდ გავრცელებულ განცხადებაში უარყვეს ცნობები იმის შესახებ, რომ ქრისტიანებს მიზანმიმართულად ხოცავენ. ამას გარდა, Deustche Welle ადგილობრივ მედიაზე დაყრდნობით წერს, რომ ბოლოდროინდელი თავდასხმების მთავარი სამიზნე არა ქრისტიანები, არამედ ალავიტები იყვნენ [28].

დაიწყო ჯიჰადის აქტიური ექსპორტი, რომლის ცენტრალური ფიგურა აღმოჩნდა იორდანიელი ისლამისტი აბუ მუსაბ აზ-ზარკავი, AQI-ს ლიდერი.

უპერსპექტივო მოსწავლე, რომელმაც ნორმალურად არაბულად წერაც კი არ იცოდა, 1984 წ. მამის, სოფლის მუხთარის (უხუცესი) გარდაცვალების შემდეგ, მიატოვა სკოლა და კრიმინალურ გზას დაადგა, ლოთობდა, ამბობენ კიდეც სუტენიორად მუშაობდაო. მისი ცხოვრებით შეშფოთებულმა დედამ, ჩაწერა შვილი რელიგიურ სკოლაში იორდანიის დედაქალაქ ამანის ალ-ჰუსაინ ბინ ალის მეჩეთში, სადაც იგი ეზიარა სალაფიზმის მოძღვრებას და ამის შემდეგ მისი ცხოვრება კარდინალურად შეიცვალა [27].

ჯერ კიდევ საბჭოების შეჭრა ავღანეთში 1979 წელს და შემდგომი ოკუპაცია გახდა მაგნიტი მომავალი ტერორისტების მთელ არაბულ სამყაროში. 35 ათასზე მეტი ბოევიკი ჩავიდა ავღანეთში, რომ დახმარებოდნენ მუჯაჰიდებს[24] გადაექციათ ომი საბჭოთა ვიეტნამად.

სწორედ ე. წ. „ავღანელი არაბები“ იდგნენ მხარდაჭერის ჯგუფების ორგანიზების უკან პაკისტანში, აგზავნიდნენ ფულად სახსრებს საუდის არაბეთიდან და სხვა სპონსორებიდან, ჯიჰადისტების სკოლების და საწვრთნელი ბაზების დაარსებისთვის.

ირონიაა, რომ როგორც აღნიშნავს ცნობილი ბრიტანელი ჟურნალისტი, BBC-ის კორესპონდენტი ახლო აღმოსავლეთში ჯიმ მიური (Jim Muir), თავდაპირველად ისინი გახდნენ ამერიკელების მოკავშირეები. მაგალითად აშშ-ის „ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ“ (Central Intelligence Agency, CIA) ჩაატარა ოპერაცია „ციკლონი“[25], რომლის მსვლელობისას მილიონობით აშშ დოლარი პაკისტანის მეშვეობით გადაეცა ავღანელი მუჯაჰიდების ლიდერებს, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობდნენ არაბ ჯიჰადისტებთან.

უნდა ითქვას, რომ პრაქტიკულად ყველა თანამედროვე რადიკალმა ისლამისტმა ლიდერმა სწორედ ავღანეთში მიიღო საბრძოლო გამოცდილება. უფრო მეტიც, მათ შეასრულეს მნიშვნელოვანი როლი იმაში, რაც მოხდა ქვეყანაში საბჭოთა ჯარების გაყვანის შემდეგ. მაშინ გახდა „ალ-კაიდა“ „წმინდა ომის“ მთავარი მამოძრავებელი. როცა „ტალიბანმა“[26] დაიკავა 1996 წელს ხელისუფლება, ისინი

[24] **მუჯაჰიდი/მოჯაჰედი** (არაბ.: مجاهد) – ჯიჰადის მონაწილე.

[25] **ოპერაცია ციკლონი** (ინგლ.: Operation Cyclone) – კოდური სახელწოდება CIA-ის პროგრამის ავღანელი მუჯაჰიდების შეიარაღებისთვის ავღანეთის ომის დროს (1979-1989 წწ.). „ციკლონი“ ყველაზე ხანგრძლივი და ყველაზე ძვირად ღირებული CIA-ის საიდუმლო ოპერაციაა. პროგრამის დაფინანსება დაიწყო 30 მლნ. აშშ დოლარიდან წელიწადში და 1987 წლისათვის მიაღწია 630 მლნ. აშშ დოლარს.

[26] **მოძრაობა ტალიბანი** (პუშთუ.: طالبان; ინგლ.: Taliban; ვინც სწავლობენ) – ისლამისტური, რელიგიურ-პოლიტიკური გასამხედროებული მოძრაობა, რომელიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და გაეროს მიერ (2003 წლიდან) ითვლება ტერორისტულ ორგანიზაციად. შეიქმნა 1994 წ. პუშთუნების მიერ, რომლებიც მართავდნენ ავღანეთს 1996–2001 წწ. და პაკისტანის ჩრდილოეთით ვაზირისტანის რეგიონს 2004 წლიდან.

2021 წელს, აშშ-ის მიერ ავღანეთიდან ჯარების გაყვანის შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით, ტალიბებმა შეტევა წამოიწყეს და აგვისტოსთვის დაამყარეს კონტროლი ქვეყნის უმეტეს ნაწილზე, 15 აგვისტოს კი დაიკავეს დედაქალაქი ქაბული და გამოაცხადეს „ავღანეთის ისლამური საამიროს“ (Islamic Emirate of Afghanistan) შექმნა.

2016 წლის 25 მაისიდან ტალიბანის ამჟამინდელი ლიდერი და რელიგიური მოღვაწეა დეობანდი (სუნიტური მოძრაობა ინდოეთიდან) ღვთისმეტყველი, ავღანეთის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე **მავლავი ჰაიბათულაჰ**

გახდნენ უსამა ბინ ლადენის მოკავშირე და თანამებრძოლები. ავღანეთმა სალაფიტების სულიერ ლიდერებს, შეუფასებელი გამოცდილება გაუზიარა.

სწორედ ავღანეთის ომის ასეთი მთავარი „პროდუქტი“ იყო იორდანიელი აზ-ზარკავი, რომელსაც ყველაზე მეტად შეიძლება უწოდო „დაიშის“ ჩამოყალიბების მამა – თვლის მიური. უვიცი სტუდენტი, რომლის კრიმინალური კარიერა დაიწყო ნარკოტიკებთან და სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული განაჩენით, ჩავიდა პაკისტანში, ჯიჰადთან მიერთების სურვილით, სწორედ იმ დროს, როცა გადიოდნენ სსრკ-ს ჯარები [14].

მას „ჭეშმარიტი“ ისლამის დანერგვის თავისებური მეთოდების გამო მეტსახელად „იორდანიელი ყასაბი“ შეარქვეს. 1990-იანი წლების დასაწყისში იგი ავღანეთში ჩავიდა, სადაც მსოფლიოს N1 ტერორისტ უსამა ბინ ლადენის[27] კურთხევითა და სრული ფინანსური მხარდაჭერით ჰერათის საწვრთნელი ბანაკი დააარსა [21]. 1996 წელს კი იორდანიაში გადავიდა, სადაც დააპატიმრეს, მიუსაჯეს 15 წელი, მაგრამ მალე გამოვიდა ციხიდან ამნისტიით. აუცილებელია გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ თავად აზ-ზარკავი წარმოშობით ქვეყნის სამხრეთული დიდგვაროვანი ბანი ჰასანის ბედუინთა ტომის წარმომადგენელი იყო და მიუხედავად ამ ტომთა შეიხების მიერ მისი საჯარო უარყოფისა, მათი სრული მხარდაჭერით სარგებლობდა [27]. თვითმხილველები მიუთითებდნენ, რომ თავდაპირველად „ალ-კაიდას“ ლიდერებს ის არ მოეწონათ. მათ იორდანიელი ჩათვალეს ძალიან იმპულსურად და ჯიუტად. ასევე არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა აზ-ზარკავის ტატუირება, რომელიც დარჩა მას წარსული ცხოვრებიდან და ვერ წაშალა [14].

იმ საწვრთნელ ბანაკ ჰერათში, აზ-ზარკავიმ გაიცნო იდეოლოგები, რომლებიც ამართლებდნენ სისხლისღვრას. მათ შორის იყო შაიხ აბუ აბდალაჰ ალ-მუჰაჯირი (Shaykh Abu Abdullah al-Muhajir). „თავის მოკვეთა უნდა იყოს სასტიკი, ეს სურს ალაჰს და მოციქულს“, წერდა მუჰაჯირი თავის წიგნში „ჯიჰადის თეოლოგია“, უფრო ცნობილი, როგორც „სისხლისღვრის თეოლოგია“ (The Jurisprudence of Blood) [30]. მისმა „შრომებმა“ საფუძველი ჩაუყარა ყველაზე სასტიკ დანაშაულებს, ამართლებდა შიიტების და სუნიტების მკვლელობას, რომლებიც ითვლებოდნენ ურწმუნოებად და ერეტიკოსებად.

კიდევ ერთი „წიგნი“, რომელსაც „ისლამური სახელმწიფოს“ წიგნად მოიხსენიებდნენ, ისლამისტების Mein Kampf-ად, არის „სისასტიკის მართვა“ (არაბ.: **إدارة التوحش**; ტრანსლიტ.: იდარათ ათ–თავაჰუშ; ინგლ.: Management of Savagery: The Most Critical Stage Through Which the Islamic Nation Will

**ახუნზადა** (Mawlawi Haibatullah Akhunzada; დაბ. 1961). 2021 წ. 15 აგვისტოდან კი ავღანეთის ისლამური საამიროს დე-ფაქტო ამირა.

[27] **უსამა ბინ მუჰამად ბინ ავად ბინ ლადინი/ლადენი** (არაბ.: **أسامة بن محمد بن عوض بن لادن**; ინგლ.: Usama bin Mohammed bin Awad bin Laden; დაბ. 1957 წ. 10 მარტს, არ-რიადში, საუდის არაბეთი, მოკლულია 2011 წ. 2 მაისს, აბოთაბადში, პაკისტანი). N1 საერთაშორისო ტერორისტი, ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-კაიდას“ დამაარსებელი, რომელმაც აიღო პასუხისმგებლობა 2001 წ. 11 სექტემბრის ტერაქტებზე აშშ-ში, 1998 წ. აფრიკაში აშშ-ის საელჩოების აფეთქებაში და სხვა არაერთ თავდასხმაში სამხედრო და სამოქალაქო სამიზნეებზე მთელ მსოფლიოში. წარმოშობით იყო მდიდარი ოჯახიდან, რომელიც ეკუთვნოდა იემენურ ტომ ქინდას.

Pass) აბუ ბაქრ ნაჯის (Abu Bakr Naji, მოკლეს 2008 წ.), რომელიც გამოქვეყნდა ინტერნეტში 2004 წელს. წიგნის მიზანი იყო, „ალ-კაიდასა“ და სხვა ექსტრემისტებისთვის სტრატეგიის შემუშავება, ისლამური სახალიფოს შექმნისთვის [14].

მსოფლიო აღიარება აბუ მუსაბ აზ-ზარკავიმ აშშ-ის სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელის (Colin Luther Powell; დაბ. 1937) გამო მოიპოვა, როცა 2003 წლის ზამთარში, გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას კოლინ პაუელი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ერაყი მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით ემუქრება მსოფლიოს და „ალ-კაიდასთან“ არის კავშირში, სადაც ახსენა დამაკავშირებელი რგოლი სადამ ჰუსეინსა და უსამა ბინ ლადენს შორის. სწორედაც ეს დამაკავშირებელი რგოლი აღმოჩნდა აზ-ზარკავი [10].

თავდაპირველად, მისი ჯგუფი ატარებდა სახელს „ჯამაათ ათ-თავჰიდ ვა ალ-ჯიჰად“[28], რომელიც აზ-ზარკავიმ 1999 წელს, პატიმრობიდან გამოსვლისას დააფუძნა, მიზნად კი ისახავდა, მისი აზრით არაისლამური, იორდანიული რეჟიმის დამხობას.

2000–2001 წლებში ბინ ლადინი თხოვდა აზ-ზარკავის დაბრუნებულიყო ავღანეთში, ყანდაარში და შეესრულებინა „ბაიათი“[29], რაც ნიშნავდა სრულ და საბოლოო ჩარიცხვას „ალ-კაიდას“ რიგებში, მაგრამ აზ-ზარკავი უარზე იყო. ერთ-ერთი მისი თანამებრძოლი ამბობდა: „მე არასდროს მომისმენია, რომ ის ვინმეს აქებდა გარდა წინასწარმეტყველისა“ [27]. თუმცა ფალუჯასთვის პირველი ბრძოლების შემდეგ, მან ერთგულება შეჰფიცა ბინ ლადენს 2004 წლის შემოდგომას და შესთავაზა თავისი ჯგუფის „ალ-კაიდასთან“ დაკავშირება [27]. დეკემბერში ბინ ლადინმა უპასუხა აზ-ზარკავის ბაიათს, უწოდა მას „კეთილშობილი ძმა“ და მოუწოდა „ყველა ჯიჰადისტური დაჯგუფების გაერთიანებისაკენ, რომ აღიარონ აზ-ზარკავი „ერაყში ალ-კაიდას“ (AQI) ამირად [27].

ცნობილი წიგნის „ISIS: ტერორის არმიის შიგნით“ ავტორები მაიკლ ვაისი (Michael Weiss) და ჰასან ჰასანი (Hassan Hassan)[30] აღნიშნავენ, რომ 2006 წელს აშშ-ის მთავრობისთვის გახდა ცნობილი, რომ კრიმინალური ბიზნესის წყალობით AQI და სხვა სუნიტური მეამბოხე დაჯგუფებები ყოველწლიურად ღებულობდნენ 70–200 მლნ. აშშ დოლარ

[28] **ჯამაათ თავჰიდ ვა ალ-ჯიჰად** (არაბ.: **جماعة التوحيد والجهاد**; ტრანსლიტ.: Jama'at al-Tawhid wal-Jihad; ინგლ.: Organization of Monotheism and Jihad ან JTJ) – ერთღმერთიანობის და ჯიჰადის საზოგადოება, რომელიც შექმნა აბუ მუსამ აზ-ზარკავიმ 1999 წ., იორდანიის ხელისუფლების ჩამოგდებისთვის, რომელიც მისი აზრით არაისლამური იყო. ამერიკელების ერაყში შესვლის შემდეგ დაჯგუფება გადაიქცა ფართო ქსელად, რომლის მიზანი იყო ერაყის შიიტებისგან გაწმენდა და ისლამური სახელმწიფოს ჩამოყალიბება. 2004 წელს აზ-ზარკავიმ შეჰფიცა უსამა ბინ ლადენს და ორგანიზაციას უწოდა „ალ-კაიდა ერაყში“ (Al-Qaeda in Iraq, AQI).

[29] **ბაიათი** (არაბ.: **بيعة**) - ერთგულებაზე ფიცის დადება.

[30] **მაიკლ ვაისი** (Michael Weiss)- გავლენიანი ამერიკული Foreign Policy-ის, The Daily Beast-ის და NOW Lebanon-ის მიმომხილველი. იგი ასევე ითვლება რუსეთის ექსპერტად და The Interpreter-ის მთავარი რედაქტორია, წერდა რეპორტაჟებს Foreign Affairs-სთვის. **ჰასან ჰასანი** (Hassan Hassan) – ვაშინგტონის ანალიტიკური ცენტრის – Tahrir Institute for Middle East Policy-ის უფროსი მეცნიერი თანამშრომელია, საამიროების გაზეთ The National-ის მიმომხილველი, ცნობილი Chatham House-ის მკვლევარი. მუშაობს ახლო აღმოსავლეთის პრობლემატიკაზე. ორივე მკვლევარი New York Times-ის და Washington Post-ის ბესტსელერი წიგნის „ISIS: ტერორის არმიის შიგნით“ ავტორია და ერთ-ერთ საუკეთესო კვლევად ითვლება „დაიშის“ შესახებ.

შემოსავალს. ლაითა ალჰურის (Laith Alkhouri) აზ-რით, „ალ-კაიდას“ სპეციალისტის, რომელიც მუშაობს საინფორმაციო სააგენტო Flashpoint Partners-ში, აზ-ზარკავის ბანდიტური წარსული აშკარად დაეხმარა მას ტერორისტული დაჯგუფების კარიერაში. „AQI აკეთებდა ფულს ყველაფერში, რაც შეიძლებოდა – ამერიკული იარაღის მოპარვით და შემდეგ სხვა დაჯგუფებებისთვის მიყიდვით, ადამიანების გატაცებებით გამოსასყიდის მიღებით. ისინი თავს ესხმოდნენ ერაყის მაღალი რანგის ოფიცრებს და გავლენიან ერაყელებს. ზოგიერთი ასეთი მსხვერპლი თუ მდიდარი იყო, მათი ოჯახები იხდიდნენ გამოსასყიდს, თუ არადა დატყვევებულს უბრალოდ კლავდნენ“.

2005-2010 წლებში არაბი სპონსორების დოტაციებმა სპარსეთის/არაბული ყურიდან და საეჭვო „ქველმოქმედებამ“ ახლო აღმოსავლეთიდან შეადგინა AQI-ს ბიუჯეტის 5%. ყოველივე ეს დაჯგუფებას აძლევდა საშუალებას ფინანსური საზრუნავის გარეშე ემოქმედა და მისი რესურსები იმ მომენტში აღემატებოდა პაკისტანში მყოფი თავისი ხელმძღვანელობის შემოსავლებს, რაც ბინ ლადენს უხერხულ მდგომარეობაშიც კი აყენებდა, როცა ის იძულებული იყო თავის ქვეშევრდომისთვის თანხები მოეთხოვა. ასე რომ, აზ-ზარკავის მდგომარეობა „ალ-კაიდას“ სტრუქტურაში აშკარად ანგარიშგასაწევი იყო [27].

2006 წლის 7 ივნისს ამერიკულმა დრონმა დაფიქსირა აზ-ზარკავი თავის სულიერ მოძღვართან და იმავე დღეს, საღამოს, F-16-ის გამანადგურებელმა 225-კილოგრამიანი ლაზერული მართვადი ბომბი ჩამოაგდო შენობაზე, სადაც ტერორისტი იმყოფებოდა. შემდეგ მას მეორე ბომბი მოჰყვა. ჯერ კიდევ ცოცხალი, მაგრამ სასიკვდილოდ დაჭრილი აზ-ზარკავი პირველად აღმოაჩინეს ერაყელმა ჯარისკაცებმა. მისი გვამის იდენტიფიცირება მოხდა სხეულზე გაკეთებული ტატუირების მეშვეობით. გარდაცვალების შემდეგ, „იორდანიელმა ყასაბმა“ „ალ-კაიდას“ ლიდერის აღიარება მიიღო, რომელიც სიცოცხლეში მინიჭებული არ ჰქონდა. ბინ ლადენმა ის რაინდად, ჯიჰადის ლომად და წამებულად გამოაცხადა [27].

მას შემდეგ, რაც აზ-ზარკავიმ შეჰფიცა ბინ ლადენს და მისი ორგანიზაცია გახდა „ალ-კაიდას“ ოფიციალური ქვედანაყოფი ერაყში, ურთიერთგაგება მათ შორის მაინც ვერ მოხერხდა. თავდასხმებს, რომელსაც ახორციელებდა „იორდანიელი ყასაბი“ შიიტურ მეჩეთებზე კონფესიათაშორისი ბრძოლის პროვოცირებით, მისი მისწრაფება საჯარო სიმხეცეზე სრულ შესაბამისობაში იყო მის რადიკალურ მსოფლმხედველობასთან. მაგრამ ალ-კაიდას ლიდერები შიშობდნენ, რომ ამით ის დააფრთხობდა ბევრ მუსლიმს და ამის გამო აკრიტიკებდნენ მას. მიუხედავად ამისა აზ-ზარკავი არ აქცევდა ყურადღებას ამ ფაქტს [14].

აზ-ზარკავის გარდაცვალება არ ნიშნავდა AQI-ს გარდაცვალებას. ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ინტერნეტში განცხადება „მუჯაჰიდების საკონსულტაციო საბჭოს“ (Mujahideen Shura Council, MSC) შექმნის შესახებ, რომელიც აერთიანებს რამდენიმე სუნიტურ მეამბოხე დაჯგუფებას. ხელმძღვანელობა დაეკისრა ერაყელს, ნაბიჯი, აზ-ზარკავისგან ყურადღების გადასატანად, რომელიც იყო იორდანიელი [13].

**4. „ერაყის ისლამური სახელმწიფო“ და „ალ-კაიდა ერაყში“**

MSC-მა, რომელიც აზ-ზარკავის AQI-მ დააარსა, დაკარგული მხარდაჭერის აღდგენის მიზნით და თავისი დაჯგუფების „ნატურალიზაციისთვის“ აირჩია ახალი ლიდერი, ასევე უცხოელი – ეგვიპტელი აბუ აიუბ ალ-მასრი [Abu Ayyub al-Masri, 1967-2010 წწ., ნამდვილი სახელი – აბუ ჰამზა ალ-მუჰაჯირი (Abu Hamza al-Muhajir)]. იგი პირადად იცნობდა როგორც აზ-ზავაჰირის, ასევე აზ-ზარკავის, რომელიც შეუერთდა „ეგვიპტურ ისლამურ ჯიჰადს“ 1980-იან წლებში. ის ავღანეთში იმავე წელს ჩავიდა, როცა აზ-ზარკავი და შეხვდა მას „ალ-კაიდას“ საწვრთნელ ბანაკში. როდესაც აზ-ზარკავი 2003 წელს ერაყში გაემგზავრა, ალ-მასრი გაჰყვა მას.

ალ-მასრის დანიშვნა აღიქვეს როგორც აზ-ზარკავის კურსის გაგრძელებაც და მასზე უარის თქმაც. მან თავი წარმოაჩინა, როგორც „ერაყიზაციის“ მომხრემ, როდესაც 2006 წ. ოქტომბერში განაცხადა, რომ მის დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურა, არის ნაწილი ჭრელი ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობის, რომელსაც მან უწოდა „ერაყის ისლამური სახელმწიფო“ (Islamic State of Iraq, ISI) [27].

ISI-ის შექმნა (AQI-ს და MSC-ის შერწყმის შედეგი) გამოცხადდა 2006 წ. 15 ოქტომბერს, კატარის ცნობილი ტელეკომპანია „ალ-ჯაზირას“[31] ეთერში. იგი მოიცავდა სუნიტებით დასახლებულ 6 ერაყულ პროვინციას და შიიტური პროვინციების – ბაბილონის და ალ-ვასიტის ნაწილს. ახალი სახალიფოს დედაქალაქად გამოცხადდა ბაღდადი. მანამდე, ერაყის პარლამენტმა მიიღო დადგენილება ქვეყნის დაყოფის შესახებ სამ შემადგენელ ნაწილად ეთნიკურ-რელიგიური პრინციპით.

როგორც კამერების წინ განმარტა „ინფორმაციის სამინისტროს“ წარმომადგენელმა თეთრ არაბულ სამოსში, ISI შეიქმნა ჭეშმარიტი ერაყელი სუნიტების მოთხოვნით, ამერიკელებისაგან თავდაცვის მიზნით. 8,5-წუთიან მიმართვაში მან შეაფასა ვითარება ახლო აღმოსავლეთში და ისაუბრა ოკუპანტების განდევნაზე, მშვიდობის და უსაფრთხოების დამყარებაზე, სუნიტებისთვის ღირსეული ცხოვრების მინიჭებაზე. დასასრულს მოუწოდა ერთმორწმუნეებს შეჰფიცონ ერთგულება „მორწმუნეთა ამირას, პატივსაცემ შეიხ“ აბუ უმარ ალ-ბაღდადის (Abu Omar al-Baghdadi), რომელიც ასევე ითვლებოდა MSC-ის ლიდერად.

როგორც ჩანს, ახალი სუვერენული წარმონაქმნის შექმნა ერაყის ტეროტორიაზე გახდა თავისებური პასუხი ქვეყნის ფედერალური მოწყობის კანონპროექტზე, რომელიც მოიწონა ერაყის პარლამენტმა. ამის თანახმად შიიტებმა და ქურთებმა, რომელთა ხელში გადავიდა ნავთობით მდიდარი. რეგიონები სამხრეთით და ჩრდილოეთით, კანონს დაუჭირეს მხარი, სუნიტები კი, რომლებმაც სადამ ჰუსეინის შემდეგ დაკარგეს პრივილეგირებული მდგომარეობა, ბუნებრივია, პარლამენტის ინიციატივას ხიშტებით შეხვდნენ, ვინაიდან ისინი

[31] **ალ-ჯაზირა** (არაბ.:**الجزيرة**; იგნლ.: Al-Jazeera) – საერთაშორისო მედიამაგნატი, შტაბ-ბინით კატარის დედაქალაქ დოჰაში (ად-დავჰა). მსოფლიოსთვის გახდა ცნობილი მას შემდეგ, რაც აშუქებდა ავღანეთზე საერთაშორისო კოალიციური ჯარების ავია- და სარაკეტო დარტყმებს და ახორციელებდა N 1 ტერორისტის, უსამა ბინ ლადენის განცხადებების ტრანსლაციას ტელეეთერში. „ალ-ჯაზირა“ არაბულად ნიშნავს კუნძულს და იგულისხმება არაბეთის ნახევარკუნძულის „აალ-ჯაზირა ალ-არაბიის“ სახელწოდების მოკლე დასახელება.

ცხოვრობენ ერაყის ცენტრში, სადაც ნავთობი არ არის. სანამ ეს კანონი ძალაში შევიდოდა, უნდა გასულიყო წელიწად-ნახევარი, მაგრამ ერაყის დაშლა უკვე მომხდარი ფაქტი იყო, ასე რომ ტერორისტებმა დაადასტურეს სტატუს-კვო [20].

ISI-ს ლიდერად დანიშნული აბუ უმარ ალ-ბაღდადი[32] სავარაუდოდ იყო ერაყის პოლიციის ბრიგადის გენერალი სადამ ჰუსეინის დროს.

როგორც ალ-მასრი აღნიშნავდა, ალ-ბაღდადი წარმოშობით ერაყელი იყო და ერაყის მუჯაჰიდების საბჭომ ხმა მისცა მას. თუმცა უსაფრთხოების მიზნით იგი არასოდეს ჩნდებოდა ვიდეო- ან აუდიო-ჩანაწერებში, ზოგს ეჭვიც კი ეპარებოდა, რომ ის რეალურად არსებობდა, სანამ არ მოხდა მისი გვამის იდენტიფიცირება.

აზ-ზარკავის მემკვიდრე ალ-მასრის შეხედულებები, ტერორიზმის მიზნებზე განსხვავდებოდა მისი წინამორბედისგან. ბაღდადის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ამერიკელების მიერ დაკავებულმა AQI-ის ერთ-ერთმა წევრმა დაკითხვისას თქვა რა განსხვავებაა ამ ორ ჯიჰადისტ ლიდერს შორის. აზ-ზარკავის საკუთარი თავი მესიად მიაჩნდა, შიიტებისგან ყველა სუნიტის დამცველად, ხოლო ალ-მასრი ტერორის მიმდევარი იყო, ვისთვისაც ერაყი მხოლოდ ერთ-ერთი პლაცდარმი იყო „დასავლური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც მთელ მსოფლიოში უნდა გავრცელდეს“.

ამ თვალსაზრისით, ალ-მასრი, როგორც სტრატეგი ახლოს იყო აზ-ზავაჰირისთან. „ის მოვიდა გარედან, აზ-ზავაჰირიმ და ბინ ლადენმა ის გააგზავნეს იქ იმისთვის, რომ გამხდარიყო მათი კაცი ერაყში“, ამბობს ყოფილი დიპლომატი, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური დესპანი ჯოელ რეიბერნი (Joel Rayburn) თავის წიგნში – „ერაყი ამერიკის შემდეგ“ (Iraq After America).

ალ-მასრი შეუერთდა ალ-ბაღდადის, ერაყელ სალაფიტს, რაც იყო ურთიერთსასარგებლო პარტნიორობა. ალ-ბაღდადი ერაყელების ნდობას იწვევდა, ხოლო ალ-მასრი კონტროლირებადი მუჯაჰიდი იყო, რომელიც მის ზურგს უკან იდგა. ამრიგად ალ-მასრი–ალ-ბაღდადის ტანდემს სურდა ამერიკულ-შიიტურ ალიანსის ნანგრევებზე ისლამური საამიროს შექმნა, თუმცა მათი მიდგომები განსხვავდებოდა.

„ერაყის ისლამურმა სახელმწოფომ“ (ISI) ასევე მოახდინა მუჯაჰიდების საბჭოს ტრანსფორმირება „სამინისტროების“ შექმნით, ჩამოყალიბდა სოფლის მეურნეობის, ნავთობმოპოვების და ჯანდაცვის „სამინისტროები“. ალ-მასრი ცდილობდა დარჩენილიყო AQI-ს ამირად და იმავდროულად ჰქონოდა წასვლის შესაძლებლობა, რომ დამოუკიდებლად ემოქმედა ერაყში. ამან გააღიზიანა აზ-ზავაჰირი და ორივე ლიდერს 2014 წელს უწოდა, „ზიზღის გამომწვევი სულელები“ [27].

2006 წლიდან მოყოლებული ალ-მასრიმ ყურადღება გაამახვილა ტერორისტული თავდასხმების ორგანიზებაზე როგორც ბაღდადში, ისე მის მიმდებარე ტერიტორიებზე. ISI-მ ბაღდადი და მისი

[32] **აბუ უმარ ალ-ყურაიში ალ-ბაღდადი** ან **აბუ ჰამზა ალ-ბაღდადი** (ინგლ.: Abu Omar al-Qurashi al-Baghdadi/ Abu Hamza al-Baghdadi ; არაბ.: أبو عمر البغدادي იგივე **ჰამიდ დაუდ მუჰამად ხალილ აზ-ზავი** [Hamid Dawud Dawud Mohamed Khalil al-Zawi]; 1959-2010 წწ.), MSC-ს ლიდერი.


ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

შემოგარენი დაყო ექვს ზონად, რომელთაგან ხუთი ქალაქის ირგვლივ იყო. თითოეულ ამ ზონას ჰყავდა თავისი ამირა.

იმავდროულად, ერაყში ტომთა ბელადებს შორის კოალიციური ძალების მთავარი მოკავშირე იყო ქარიზმატული შეიხი აბდ ას-სათარ აბუ რიშა.[33] ამერიკულმა ძალებმა ორჯერ შეასრულეს რეიდები მის დასახლებაში, მას შემდეგ რაც დაადანაშაულეს კომერციულ თანამშრომლობაში ბოევიკებთან, მიუხედავად ამისა იგი გახდა აშშ-ის ყველაზე მნიშვნელოვანი მოკავშირე ერაყში [27].

AQI-ს მცდელობა შეწინააღმდეგებოდა მის ძალისხმევას, ჩაიშალა, ვინაიდან უკმაყოფილებამ, რომელმაც მოიცვა სუნიტური ტომები, მოიპოვა საყოველთაო მხარდაჭერა. თავის ძმასთან ერთად, შეიხ რიშამ შექმნა „საგანგებო მდგომარეობის ალ-ანბარის საბჭო“ (Anbar Emergency Council), რომელმაც განაცხადა, რომ არის 17 ანბარული ტომის წარმომადგენელი და მზადაა ითანამშრომლოს კოალიციასთან AQI-ს წინააღმდეგ. საბჭო მალევე გაფართოვდა და მას ეწოდა „ალ-ანბარის გამოღვიძების საბჭო“.

2006 წ. რიშაი აკონტროლებდა ახლად შექმნილ რამდენიმე ასეულ ერაყულ პოლიციურ ძალას, რომელიც აშკარად საკმარისი არ იყო. ამიტომ შეიხმა დაარწმუნა პრემიერი ნურ ალ-მალიკი (Nouri Kamil Mohammed Hasan al-Maliki, დ. 1950, ერაყის პრემიერ-მინისტრი 2006-2014 წწ.) დათანხმებულიყო დროებითი გასამხედროებული ბატალიონების შექმნაზე, რომელსაც უხელმძღვანელებდნენ არაკორუმპირებული ძალოვნები ტომებიდან, ერაყის არმიის ყოფილი სამხედროები. 2007 წლისთვის ქვედანაყოფის რიცხვი 2000 მებრძოლამდე გაიზარდა.

„ღმერთს ვფიცავ ჩვენ კარგი იარაღი გვექნება, კარგი სატრანსპორტო საშუალება და მხარდაჭერა რომ გავაგდოთ „ალ-კაიდა“ უკან ავღანეთში“, განუცხადა შეიხმა New York Times-ს ინტერვიუში, როგორც ჩანს, პრეზიდენტ ბუშის გასაგონად, რომელიც შეხვდა მას 2007 წელს ბაღდადში. თუმცა სამწუხაროდ რიშა ვერ მოესწრო „ალ-კაიდას“ გაგდებას ერაყიდან. რამდენიმე დღეში პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ ის მოკლეს ჯიჰადისტებმა.

„ოპერაცია ერაყის თავისუფლების“[34] მსვლელობისას, ბრიტანელი გენერალ-ლეიტენანტი გრემ

[33] **შეიხ აბდ ას-სათარ აბუ რიშა** (ინგლ: Abdul Sattar Abu Risha არაბ.: **عبد الستار أبو ريشة**; 1972-2007 წწ.) ერაყის აბუ რიშას ტომის ბელადი. ერაყის სუნიტ არაბთა ალიანსის (Iraqi Sunni Arab) წევრი, რომელიც ებრძოდა AQI-ს.

[34] **„ოპერაცია ერაყის თავისუფლება“** (Operation Iraqi Freedom, OIF) – აშშ-ისა და მისი მოკავშირეების სამხედრო ოპერაცია სადამ ჰუსეინის რეჟიმის ჩამოგდების მიზნით. სამხედრო მოქმედებები ერაყის არმიის წინააღმდეგ დაიწყო 2003 წ. 20 მარტს და დასრულდა 9 აპრილს, როცა ამერიკელებმა დაიკავეს ერაყის დედაქალაქი ბაღდადი.

ამის შემდეგ ქვეყანა მოიცვა აჯანყებამ და ტერორისტული „ალ-კაიდას“ მიერ შთაგონებული მებრძოლების შემოდინებამ, რამაც გამოიწვია პარტიზანული ომი ამერიკული ძალების წინააღმდეგ და სამოქალაქო ომი სუნიტ და შიიტ ტომებს შორის. ცხრაწლიანი კონფლიქტის შემდეგ, 2011 წლის 15 დეკემბერს აღინიშნა სამხედრო მისიის ოფიციალური დასრულება. აშშ-ის ჯარების ერაყიდან გაყვანის შემდეგ, ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“ (ISIS) შეიჭრა სირიისა და ერაყის ნაწილებში, რამაც გამოიწვია ბარბაროსული ქმედებები მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, დიდი მსხვერპლი, განადგურდა ქვეყნის ინფრასტრუქტურა.

ტერორისტული ქმედებების საპასუხოდ, 2014 წ. 17 ოქტომბერს დაიწყო **„ოპერაცია ურყევი სიმტკიცე“** (Operation Inherent Resolve, OIR) გლობალური კოალიციის მეშვეობით, აშშ-ის ხელმძღვანელობით. მისია ხორციელდება **„გაერთიანებული ერთობლივი ოპერატიული ჯგუფით** აშშ-ს **ოპერაცია ურყევი სიმტკიცის“** (Combined Joint Task Force - Operation Inherent Resolve, CJTF–OIR) მიერ, რომელშიც შედის კოალიციის 30-მდე ქვეყანა [17].

ლემი (Graeme Lamb), „ერაყში მრავალეროვნული კოალიციური ძალების“ (The Multi-National Force – Iraq, MNF–I; 2003–2011 წლები) მეთაურის მოადგილე, დიდხანს თვლიდა, რომ როცა სუნიტები დაიღლებიან AQI-ს შეტევებისგან, ზოგიერთი, ნაკლებად ექსტრემისტული დაჯგუფება დახმარებისთვის MNF–I-ს მიმართავს [27].

საკითხი მხოლოდ ის იყო, თუ როგორ მოხდეს ამ დაჯგუფებების განცალკევება – ვისთან შეიძლება თანამშრომლობა, ან ვინ შეტოპა ძალიან შორს. ლემი შეხვდა „ანსარ ას-სუნას“ (Ansar al-Sunna) სალაფიური დაჯგუფების ამირას, რომელიც თვლიდა, რომ მთავარი ბოროტები არიან მოძალადეები და თავზეხელაღებული ალ-მასრი და ალ-ბაღდადი. „ჩვენ თვალს გადევნებთ“, უთხრა მან ლემს, „და ვხედავთ, რომ თქვენ არ ემუქრებით ჩვენს სარწმუნოებას და ცხოვრების წესს, ალ-კაიდასგან განსხვავებით“.

AQI-ს მიმართ საყოველთაო წინააღმდეგობის ზრდა დაემთხვა აშშ-ის სამხედრო გაძლიერებას ერაყში, რომლის თვითმხილველიც გახლდით ერაყში ყოფნისას 2007–2008 წლებში. აშშ-ის ახალი პოლიტიკის – „დიდი ტალღის“ რეალიზება დაიწყო 2007 წელს, რომელიც ინიცირებულ იქნა, აშშ-ის პრეზიდენტის მოწონებით, გენერალ დევიდ პეტრეუსის[35] მიერ. იგი გულისხმობდა დამატებითი ხუთი საბრძოლო ბრიგადის შემოყვანას (30,000-მდე პირადი შემადგენლობა) და სამხედრო სტრატეგიის სრულ გარდაქმნას.

ახალი სტრატეგია გულისხმობდა არა მარტო AQI-ს წინააღმდეგ ბრძოლას, არამედ შიიტური დაჯგუფებების ფართო ქსელისთვის წინააღმდეგობის გაწევას, რომელსაც მხარს უჭერდა ირანი და საფრთხეს წარმოადგენდა ამერიკის ჯარისა და სუნიტური მშვიდობიანი მოსახლეობისთვის, რომელიც შველას ითხოვდა.

პეტრეუსმა და საზღვაო ქვეითთა გენერალ-ლეიტენანტმა ჯეიმს მეტისმა (James Mattis) ერთობლივად შექმნეს ახალი ოპერატიული, 282-გვერდიანი მეამბოხეების წინააღმდეგ ბრძოლის სახელმძღვანელო (COIN), რაც გულისხმობდა გასამხედროებული დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლას, ეთნიკური თემის ორიენტაციის შეცვლით და რომლის ტერიტორიაზეც ასეთი დაჯგუფება იყო ბაზირებული. სხვაგვარად, მაოისტური მეტაფორა რომ გამოვიყენოთ, ამერიკელ გენერლებს სურდათ „ზღვის შემოტრიალება თევზის წინააღმდეგ“, წერენ მაიკლ ვეისი და ჰასან ჰასანი.

პეტრეუსი პასუხისმგებელი იყო ერაყული სპეცსამსახურების მომზადებაზე, რომელიც სრულად ჩაიშალა, ვინაიდან ბევრ კურსანტს არ სურდა გადამზადება, ზოგიერთი კი სამხედრო აღჭურვილობას იტაცებდა და ჰყიდდა სწორედ იმ ტერორისტებზე, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლისთვისაც დაიქირავეს. ასე, მოულოდნელად გაქრა აღრიცხული 190,000 ცალი ავტომატი AK-47. ეს ნიშნავდა, რომ ამერიკელი გადასახადების გადამხდელთა მიერ ნაყიდი იარაღი, ახლა მთელ ერაყში ვრცელ-

[35] **დევიდ პეტრეუსი** (David Howell Petraeus AO, MSC; დაბ. 1952 წ., აშშ-ს ამერიკელი გენერალი, აშშ-ის ცენტრალური სარდლობის (CENTCOM) მეთაური 2008აშშ-ს2010 წლებში. 2010აშშ-ს2011 წლებში აშშ-ის ჯარების და NATO-ს მეთაური ავღანეთში. ცნობილია მეტსახელით „მეფე დავიდი“ (King David).

დებოდა, რომლითაც ამერიკელ ჯარისკაცებს კლავდნენ. AQI-მაც ახალი სტრატეგიის შემუშავება დაიწყო ამერიკელთა წინააღმდეგ.

მიზეზი, თუ რატომ ვერ მოახერხა აშშ-მა AQI-ს საბოლოოდ განდევნა ბაღდადიდან, მიუხედავად AQI-ს მიმართ ზემოხსენებული საყოველთაო წინააღმდეგობისა, იყო ის, რომ ამერიკელთა მიღწეული წარმატებები ტყუილი აღმოჩნდა. როცა 2006 წ. ივნისში ჰიბჰიბში მოკლეს აზ-ზარკავი, „სპეცოპერაციების გაერთიანებულმა სამეთაურომ“ (Joint Special Operations Command, JSOC) მიიღო წვდომა AQI-ს საიდუმლო მონაცემებზე. აღმოჩნდა, რომ ჯიჰადისტებმა იცოდნენ, რომ კარგავდნენ მათ მთავარ ციტადელს „სიკვდილის სამკუთხედს“ (Triangle of Death) ბაღდადის სამხრეთ ნაწილში, რომელიც ამერიკელების ხელში გადადიოდა. სწორედ აზ-ზარკავის სიკვდილი წინ, იგეგმებოდა ტერორისტების ადგილსამყოფელის, შტაბ-ბინის შეცვლა. კოალიციის ტერიტორიული გამარჯვება გახდა უფრო ტაქტიკური, ვიდრე სტრატეგიული [27].

პოლკოვნიკ დერეკ ჰარვის (Colonel Derek Harvey) სამხედრო ანალიზის მიხედვით, რომელმაც გამოიყენა აშშ-ის სამხედრო დაზვერვის სამმართველოს მიერ (Defense Intelligence Agency, DIA) ჩატარებული გამოკითხვის მონაცემები, გამოჩნდა, რომ ერაყელების ნდობის ხარისხი ახალი ხელისუფლების თავდაცვის სტრუქტურების მიმართ მინიმალური იყო, ამასთანავე, ისინი აღფრთოვანებულები იყვნენ „შეიარაღებული წინააღმდეგობით“ და სახალხო მხარდაჭერა ზრდიდა მეამბოხეთა რიგებს. ჰარვის ანალიზი სწორი, მაგრამ სავალალო აღმოჩნდა. AQI ახორციელებდა თავისი სამეთაურო ცენტრების გადანაცვლების ტაქტიკას, ერთი ქალაქიდან მეორეში[36].

[36] **პოლკოვნიკი დერეკ ჰარვი** (Colonel Derek Harvey), სამხედრო დაზვერვის ოფიცერი, მომუშავე Joint Task Force 7-ში ერაყში, იყო სწორედ ის წარმომადგენელი ამერიკული სამხედრო ისტებლიშმენტიდან, რომელმაც გააანალიზა ერაყში არსებული ვითარება და აღნიშნა, რომ წინააღმდეგობის უკან, რომელიც მოჰყვა ერაყში ამერიკელების ინტერვენციას, იდგნენ ჩამოგდებული რეჟიმის მესვეურები. მისი შეფასებით, ასეთი წინააღმდეგობის არმიის რაოდენობა აღწევდა 95000-მდე ყოფილ სამხედროს, რომლებიც მანამდე შედიოდნენ სპეციალურ რესპუბლიკურ გვარდიაში (Special Republican Guard), „მუხაბარათში“ (დაზვერვა), „სადამის ფიდაინებში“ (Fedayeen Saddam) და სხვა ქვედანაყოფებში. ყველა ისინი, პოლ ბრემერმა (Paul Bremer), ბუშის მიერ დანიშნულმა „დროებითი კოალიციური ადმინისტრაციის“ (Coalition Provisional Authority, CPA) მმართველმა, ერთი ხელის მოსმით დატოვა საარსებო წყაროს გარეშე, როცა ხელი მოაწერა ერაყის შეიარღებული ძალების დაშლის განკარგულებას. ამიტომ ამ ოფიცრების და სხვა სამხედროების უმრავლესობა შეუერთდა ახალდაწყებულ კამპანიას ერაყში, რომლის მიზანი იყო ექსპროპრიანტების განდევნა ქვეყნიდან. ვითარება გართულდა იმით, რომ თავის დროზე სადამმა უფლება მისცა ერაყში შავი არალეგალური ბაზრის ფუნქციონირებას, რათა გვერდი აევლოთ გაეროს სანქციებისთვის. ამ ბაზრის მეშვეობით ერაყში მიმდინარეობდა ნავთობის, იარაღის, სადამ ჰუსეინის გარემოცვის, მისი ოჯახის წევრების სხვადასხვა სურვილების დაკმაყოფილება.

ამან გამოიწვია კრიმინალური, კონტრაბანდული ქსელის ჩამოყალიბება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვიცე-პრეზიდენტი **იზაათ იბრაჰიმ ად-დური** (არაბ.: **عزة إبراهيم الدوري**; ინგლ.: Izzat Ibrahim al-Douri; 1942-2020 წწ.). ად-დური იყო ისლამში მისტიკურ-ასკეტური მიმდინარეობის – ნაკშბანდის (სუფიური სამმო) ორდენის წევრი, რომელსაც პირდაპირი დასაბამი მისცა პირველმა მართლმორწმუნე ხალიფამ, წინასწარმეტყველ მუჰამადის თანამებრძოლმა აბუ ბაქრ ას-სიდიკიმ (572–634 წწ.). იგი დაიბადა სოფელ ად-დურში, რომელიც თიქრითთან, სადამ ჰუსეინის მშობლიური ქალაქთან ახლოს იყო. როგორც მმართველი რეჟიმის კარგი ფუნქციონერი ამარაგებდა არმიას და სპეცსამსახურებს იარაღით. ეს იყო ერთ-ერთი ფორმა ეთნიკური მფარველობის, რომელიც 2006 წელს სადამ ჰუსეინის სიკვდილით დასჯის შემდეგ, გამოვლინდა „ნაკშბანდიის ორდენის მამაკაცთა არმიის“ (Army of the Men

2007 წლისთვის AQI-მ დააარსა ახლი შტაბ-ბინა ბააკუბაში, დიალას პროვინციის მთავარ ქალაქში. ჯიჰადისტებმა, როგორც არ-რამადიში, აქაც დაიკავეს არა მარტო ქალაქი, არამედ სამხრეთით მდებარე სოფლის უბნები, რაც აძლევდა მათ ფარულად გადაადგილების საშუალებას [27].

წლების შემდეგ დიალა გახდა კონფესიათაშორისი ომის აღორძინების ადგილი – შიიტი მეამბოხეები გამოდიოდნენ ახალი სუნიტური დაჯგუფება Sahwats-ის წინააღმდეგ, რომელმაც თავის მტრად გამოაცხადა ალ-მალიკის რეპრესიული რეჟიმი. სწორედ დიალა გახდა შემდგომ ISIS-თან სისხლისმღვრელი ბრძოლის არენა. „დაიშის“ ლიდერი კი, აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი მიეკუთვნებოდა „ალ-ბუ ბადრის“ ტომს/კლანს (არაბ.: **البو بدري**; ინგლ.: Bobadri) დიალადან და სწორედ აქ 2013 წ. „ისლამურმა სახელმწიფომ“ გამოაცხადა თავისი ახალი პროვინციის დაარსების შესახებ [27].

„ბევრს ცუდად ესმის, რას წარმოადგენდა „დიდი ტალღა“, რომლის ამოცანა იყო სამხედრო არსებობის გაძლიერება ნაკლები ხარისხით და უმეტესწილად დიპლომატიური მუშაობა ერაყის ეროვნულ მთავრობასთან, რათა იძულებული გამხდარიყვნენ ჩვენთან ეთანამშრომლათ“, აღნიშნა ალი ჰედერიმ (Ali Khedery), ამერიკელმა დიპლომატმა, რომელიც ყველაზე დიდხანს მოღვაწეობდა ერაყში თავის კოლეგებთან შედარებით. „უნდა მიგვეცა პოლიტიკოსებისთვის საშუალება მიეღწიათ ერთმანეთთან შეთანხმებისთვის. ამიტომ, იმ პერიოდთან შედარებით, რომელიც წინ უძღოდა „დიდ ტალღას“, ადგილობრივი არჩევნების მომენტში 2009 წელს, შეიმჩნეოდა დაძაბულობის კლება 90%-ით“, ამტკიცებდა დიპლომატი.

შემთხვევითი არაა, რომ სუნიტურ პროვინციებში გაიმარჯვეს იმ ტომების ბელადებმა რომლებიც AQI-ის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. მოკლული რიშას ძმამაც დაიკავა ადგილი ალ-ანბარის პროვინციის საბჭოში. დიალას და ნაინავის პროვინციებში სუნიტურმა კოალიციებმა გაიმარჯვა. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ პერიოდიდანიწყება AQI-ს დაღმასვლა.

2010 წ. ივნისში პენტაგონის ბრიფინგზე, გენერალმა ოდიერნომ (Raymond/Ray Thomas Odierno) განაცხადა, რომ გასული სამი თვის განმავლობაში ამერიკის ჯარებმა ერაყში გაანადგურა „ალ-კაიდას“ 42-მდე ხელმძღვანელი. ნათელია, რომ ამჟამად AQI რეორგანიზაციას ცდილობს, სიძნელეებს განიცდის. „ალ-კაიდას“ ხელმძღვანელობასთან კავშირი პაკისტანსა და ავღანეთში დაკარგულია [27].

AQI დასუსტდა ამერიკული ძალებისა და მისი მოკავშირე სუნიტური დაჯგუფებების დარტყმების შედეგად და ვინაიდან მისი პოპულარობა დაეცა, მმართველობის კრიზისიც წარმოიშვა.

მულა ნაჯიმ ალ-ჯიბური (Mullah Nadhim al-Jibouri), ჩრდილოეთ ბაღდადიდან, რომელიც თავის დროზე აზ-ზარკავის დაარსებული მუჯაჰიდების საბჭოს წევრი იყო, 2011 წ. დაბრუნდა ბაღდადში რათა დაზავებულიყო მთავრობასთან, თუმცა მალე-ვე მოკლეს. მკვლელობამდე რამდენიმე თვით ადრე ამერიკელ სამხედროებთან Skype-ით საუბრისას,

of the Naqshbandi Order), ერთ-ერთი უძლიერესი სუნიტური მეამბოხეების დაჯგუფების ჩამოყალიბებაში, რომლებიც დაეხმარნენ ISIS-ს დაემყარებინათ ხელისუფლება მოსულში 2014 წელს [27]

მან დაადასტურა, რომ ISI შექმნილი იყო AQI-ის მიერ, რათა გარედან შემოსული ჯიჰადიზმი ეროვნულ მოძრაობაში გადაეყვანა. ამიტომ ნაციონალისტებში, რომლებიც იმისთვის არ იბრძოდნენ, რომ აზ-ზარკავის საამირო ენახათ „მწვანე ზონაში“[37] ISI იწვევდა ნეგატიურ რეაქციას. „ISI იყო „ალ-კაიდას“ მცდელობა სათავისოდ გამოეყენებინა ერაყული წინააღმდეგობა“, ამბობდა ალ-ჯიბური [27].

ომის პირველივე წლებში AQI გახდა ერაყული წინააღმდეგობის ძალების ავანგარდი და სუნიტების დანგრეული მემკვიდრეობის მფარველი. მაგრამ თავის აპოკალიფსურ ექსტრემიზმში მან ორივე საკუთარი სახე გაანადგურა. ჯიჰადისტებისთვის რთული პერიოდ დადგა. 2007 წელს ამერიკელებმა გაზარდეს კონტინგენტი ერაყში და უფრო ყურადღებით ეპყრობოდნენ ქვეყნის არმიის აღდგენას. იმავდროულად მათ სუნიტ ტომებს ანბარის პროვინციიდან მოუწოდეს შეეწყვიტათ ჯიჰადისტების მხარდაჭერა.

ამის შემდეგ გამოჩნდა „ისლამური სახელმწიფოს“ პირველი ვარიანტი. ბოევიკებმა გამოაცხადეს ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ (ISI) შექმნა, რომლის საფარქვეშ გაერთიანდა AQI და სხვა ექსტრემისტული დაჯგუფებები. ამ პერიოდში, როცა ISI წარმოიშვა, ერაყში 170,000-იანი ამერიკული სამხედრო კონტინგენტი იდგა [6].

იმ დროისათვის, რაც ISI-ს და AQI-ს ლიდერები მოკლეს, აჯანყება შეწყდა და ჯიჰადისტები აკონტროლებდნენ რამდენიმე რაიონს. ორივე ლიდერი შეცვალა ერთმა ადამიანმა – **იბრაჰიმ ავად ალ-ბადრიმ,** ფსევდონიმით **აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი** რომელზეც არაფერი იყო ცნობილი. ექვსი წლის შემდეგ მას გამოაცხადებენ „ისლამური სახელმწიფოს“ ხალიფად [14].

**5. „დაიშის“ შექმნის კიდევ რამდენიმე წინაპირობა**

როგორც ზოგიერთი თვლის, არაბულმა მონარქია კატარმა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ორგანიზაციის ფორმირების პირველ ეტაპზე. მართალია კატარს არ გააჩნია დიდი ტერიტორია, დიდი რაოდენობის მოსახლეობა, არ ფლობს სერიოზულ სამხედრო პოტენციალს, მონარქია მაინც ცდილობს რეგიონალური ლიდერი იყოს. ქვეყანა, რომელსაც 1800-იანი წლებიდან მართავს ალ სანის სამეფო დინასტია, ბოლო 60 წელია დიდი ბრიტანეთის ღარიბი პროტექტორატიდან გადაიქცა უმდიდრეს სახელმწიფოდ, ნავთობიდან და გაზიდან მნიშვნელოვანი შემოსავლების გამო. უზარმაზარი ფინანსები საშუალებას აძლევს ქვეყანას გავლენა იქონიოს ახლო აღმოსავლეთსა და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. ქვეყანა რეგიონალურ მეტოქეობაშია სუნიტური მიმდინარეობის მეორე არაბული მონარქია – საუდის არაბეთის სამეფოსთან.

ამას ემატება ის, რომ დოჰა (ად-დავჰა) ვაშინგტონის მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორია. უფრო მეტიც, 2022 წელს კატარი, „NATO-ს ფარგლებს გარეთ“ (MNNA) აშშ-ის მთავარ მოკავშირედ გამოცხადდა, რითაც გახდა არაბეთის/სპარსეთის ყურის რეგიონში მესამე ქვეყანა ქუვეითისა და

[37] **მწვანე ზონა** (ინგლ.: Green Zone) –რაიონის დასახელება ერაყის დედაქალაქ ბაღდადის ცენტრში, სადაც განლაგებულია უცხოური და სამთავრობო ობიექტები.

ბაჰრეინის შემდეგ, რომელმაც მიიღო ეს სტატუსი და ერთ-ერთია, მსოფლიოს 18 ქვეყანას შორის [11].

„დაიშის“ ჩამოყალიბებაში ასეთი ქვეყნის როლი სკეპტიკურია ბევრისთვის. რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ კატარის მთავრობა დგას „დაიშის“ სახსრების ჩადინების უკან არ არსებობს. თუმცა მას ხშირად აკრიტიკებენ ასევე დაფინანსებების გადინების არასაკმარისად აღკვეთის გამო, რომ კერძო დონორები კატარში და ასეთი მთელ მსოფლიოშიც მრავლადაა, განსაკუთრებით ისლამურ სახელმწიფოებში, სადაც ყოველთვის გამოჩნდება ისლამისტების გულშემატკივარი და მიმართავს თავის რესურსებს „დაიშის“ ტიპის ორგანიზაციის მხარდასაჭერად.

CIA-ის ყოფილი ანალიტიკოსი და Washington Institute for Near East Policy-ს უფროსი მკვლევარი 2013–2018 წლებში, ლორი პლოტკინ ბოგჰართი (Lori Plotkin Boghardt) აღნიშნავს, რომ აშშ თავის ახლო მოკავშირე კატარს განიხილავს როგორც პრობლემურ ადგილს ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებით. აშშ აცხადებს, რომ მათ არ გააჩნიათ მტკიცებულებები, რომ კატარი აფინანსებდა „დაიშს“, მაგრამ დანამდვილებით თვლის, რომ კერძო პირები ეხმარებიან მსგავს დაჯგუფებებს. აშშ აქებს თავის მოკავშირეს ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ახალი ბრძოლის მეთოდების შემუშავებაში, ხანდახან კი კიცხავს იმავე ტერორიზმის დაფინანსების გამო.

ფუნდამენტური მიზეზი კი ისაა, რომ აშშ-ის ანტიტერორისტული პროგრამა ზოგჯერ წინააღმდეგობაშია კატარის პოლიტიკურ ინტერესებთან. დოჰას სტრატეგია არის რეგიონალური და საერთაშორისო ჯგუფების ფართო სპექტრის მხარდაჭერა, რათა გაამყაროს თავისი პოზიციები საზღვარგარეთ [8].

თავის მეორე სტატიაში ლორი ბოგჰართი აღნიშნავს, რომ აშშ-ის სახელმწიფო ხაზინის მონაცემებით, კატარში მოქმედებდნენ ტერორის დამფინანსებლები. მოქალაქე აბდ არ-რაჰმან ან-ნუაიმი (Abd al Rahman al Nuaymi) იყო მოკავშირე, AQI-სა და კატარის დონორებს შორის ერაყში. ნუაიმი გარკვეული პერიოდი აკონტროლებდა 2 მლნ. აშშ დოლარის გადარიცხვას თვეში AQI-სთვის და ერთ-ერთია იმ რამდენიმე კატარის „ალ-კაიდას“ დამფინანსებლიდან. სხვა მონაცემებით, აშშ-ის ოფიციალური პირები თვლიდნენ, რომ „დაიშთან“ და „ალ-კაიდასთან“ დაკავშირებული ჯგუფების შემოწირულობების დიდი ნაწილი მოდიოდა სწორედ კატარიდან და არა საუდის არაბეთიდან [9].

აზ-ზარკავის შემდეგ, ორგანიზაცია გაემიჯნა „ალ-კაიდას“ და აღმოჩნდა დოჰას ყურადღების ცენტრში. გარდა ამისა, ასეთ სიტუაციებში დასაფინანსებლად გამოიყენებოდა ან კერძო ფიზიკური პირის საბანკო ბარათები ან ახლო აღმოსავლეთში და ისლამურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული ფულადი გზავნილების სისტემა „ჰავალა“[38].

დოჰა აქტიურად იპყრობდა „საცხოვრებელ არეალს“ ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიმართულებებში.

[38] **ჰავალა** (არაბ.: **حوالة**; გადაცემა) – არაფორმალური ფინანსურ-საანგარიშო სისიტემა, მოთხოვნათა ურთიერთ-ჩათვლის საფუძველზე და ვალდებულებების ბროკერებს შორის, რომელიც გამოიყენება ახლო აღმოსავლეთში, აფრიკაში და აზიაში.


ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

კატარში „გაერთიანებული სამსახურების სამეფო ინსტიტუტის“ (Royal United Services Institute) დირექტორი მაიკლ სტივენსი (Michael Stephens), ამბობდა: „ნამდვილად ყველაზე მეტად მესმის ბრალდებები იმათგან ვინც „დაიშს“ ებრძვის, რომ კატარი, თურქეთი და საუდის არაბეთი პასუხისმგებლები არიან დაჯგუფების არსებობაზე. სიმართლე კი უფრო რთულადაა და შესწავლას მოითხოვს“.

მართალია, რომ ზოგიერთი მდიდარი ქვეყანა ყურიდან აფინანსებს ექსტრემისტულ დაჯგუფებებს სირიაში, ბევრს ტომრებით მიაქვს ფული თურქეთში და მილიონობით დოლარს გადასცემენ, რაც იყო გავრცელებული პრაქტიკა 2012–2013 წლებში, მაგრამ შემდეგ ეს პროცესი შემცირდა და ამჟამინდელი „დაიშის“ შემოსავლების მცირე პროცენტს შეადგენს [22]. ისიც მართალია, რომ საუდის არაბეთი და კატარი იმ იმედით, რომ ბაშარ ალ-ასადის რეჟიმი მალე დაემხობოდა და სუნიტური პოლიტიკური ისლამი ჭეშმარიტი საშუალებაა ამ მიზნის მისაღწევად, აფინანსებდნენ ძლიერი ისლამისტური რეპუტაციის მქონე ჯგუფებს და ჰქონდათ კავშირები „ან-ნუსრას ფრონტთან“ – „ალ-კაიდას“ ფრთასთან სირიაში.

კატარი, როგორც ამბობს სტიფენსი, გახდა კრიტიკის საგანი მისი გაურკვეველი კავშირების გამო დაჯგუფებასთან. თავის მხრივ თურქეთი, სასაზღვრო კონტროლის საეჭვო პოლიტიკას ატარებდა, როცა იარაღი და ფული სირიაში შევიდა კატარის და საუდის არაბეთის მხარდაჭერით. ყველას ეგონა, რომ ეს ხელს შეუწყობდა ასადის რეჟიმის დაცემას, სირიის სუნიტურ სახელმწიფოდ გადაქცევას, შიიტური ირანის ხმელთაშუაზღვისპირეთთან კავშირის გაწყვეტით.

მიუხედავად ამისა, როცა „დაიშმა“2013 წ. უწყვეტად ზრდა დაიწყო, დანარჩენი ჯგუფები ან განადგურდნენ მის მიერ, ან ზოგიერთმა წევრმა გადაწყვიტა, რომ ჯობდა გამარჯვებულ დაჯგუფებას შეერთებოდა, ამჯობინეს დეზერტირობა და თან წაიღეს იარაღი და ფული. მარტო „ან-ნუსრა“ იდგა მყარად, მაგრამ აქაც მის უფრო რადიკალურ ბიძაშვილთან, მინიმუმ 3000-მდე ბოევიკი გადავიდა. მაშ როგორ აფინანსებდა კატარი „ისლამურ სახელმწიფოს“? – სვამს კითხვას მაიკლ სტივენსი, „პირდაპირი პასუხია – არა“.

„პოლიტიკის და გულუბრყვილობის ირიბმა შეთავსებამ იქამდე მიიყვანა საქმე, რომ კატარიდან შემოსული ფული და იარაღი, აღმოჩნდა „დაიშის“ ხელში. საუდის არაბეთი ასევე უდანაშაულოა დაჯგუფების პირდაპირ დაფინანსებაში, მაგრამ როგორც კატარის შემთხვევაში, მისმა განზრახვამ ჩამოაგდოს ასადი, გამოიწვია სერიოზული შეცდომები მოკავშირეების არჩევაში.

აქ კიდევ უფრო ღრმა პრობლემებია: რელიგიური კავშირები და სიმპათიები დაჯგუფებების მიმართ, რომელიც პირდაპირ ღიად გამოდის შიიტური ირანის წინააღმდეგ რეგიონში, სარგებლობს ჩუმი მხარდაჭერით გარკვეულ წრეებში სპარსეთის ყურეში, რისი აღიარებაც ბევრს არ სურს. სასტიკ ქმედებებს, რომელსაც ჩადის ISIS-ი არავინ უჭერს მხარს, მაგრამ მისი სახალიფოს შექმნის მიზანი მიმზიდველია ისლამური აზროვნების ჯურღმულებში, – ამბობს კვლევითი ცენტრის დირექტორი.

ბევრი მათგანი, ვინც ამ იდეას უჭერდა მხარს აღმოჩნდა სირიაში და იბრძოდა მის მხარეს, მაგრამ ბევრი პასიურად უჭერდა მხარს და ასე კიდევ მრავალ წელს მოიქცევიან [22].

საერთაშორისო ტერორიზმის ფენომენის ერთ-ერთი საინტერესო ნიშან-თვისება ისიცაა, რომ „ალ-კაიდას“, რომელიც „მოწინავე პოზიციებზე“ იდგა მსოფლიო მასშტაბით თავისი სისასტიკით, ძალადობით, ბოევიკების სიმრავლით თუ სხვა მიმართულებით გამოუჩნდა მთავარი კონკურენტი „დაიშის“ სახით. ისინი ფორმალურად ოდნავ განსხვავებულ სალაფიურ იდეოლოგიას ქადაგებენ. ამ კონკურენციას ხისტი კონფრონტაცია და დროებითი დაზავების პერიოდებიც ახლავს, თუმცა პრინციპულად ეს ორი მიმდინარეობა ვერასდროს შეძლებს გაერთიანებას, თუნდაც „სახალიფოს“ შექმნას.

როგორც თავიანთ წიგნში – The Future of ISIS, პროფესორები ფაისალ ალ-ისთრაბადი (Al-Istrabadi Feisal) და სუმით განგული (Ganguly Sumit) წერენ ვერც ერთმა მსხვილმა მიმომხილველმა და ექსპერტმა, მთავრობამ, ვერ იწინასწარმეტყველა „დაიშის“ აღზევება. ყველა რანგის ოფიციალური პირი, ღიად უგულებელყოფდა ამ ფაქტს, იმავდროულად რეკლამას უკეთებდა წარმატებებს „ალ-კაიდას“ წინააღმდეგ.

არადა ISIL-მა მიაღწია ისეთ რამეს, რისკენაც „ალ-კაიდა“ არც კი ისწრაფოდა და რასაც ვერ მიაღწევდა სურვილის შემთხვევაში – ტერიტორიის დაპყრობა სამხედრო გზით. ერთ მომენტში „დაიშმა“ წაშალა საერთაშორისოდ აღიარებული ერაყ-სირიის საზღვარი. როცა ერაყში განადგურდა სუნიტური მოძრაობა 2007 წ. აშშ-ის ძალების მატების შედეგად, აღმოცენდა „მოვლენა“, ცნობილი როგორც „ერაყის ისლამური სახელმწიფო“ (ISI), „ალ-კაიდას“ განსადევნად. ორგანიზაციამ, რომელიც უნდა გამხდარიყო „ისლამური სახელმწიფო“ დაიწყო ზრდა და გაუშვა თავისი მეტასტაზები [3].

## დასკვნა

„ისლამური სახელმწიფოს“ აღზევება დასავლეთისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. დროთა განმავლობაში, „დაიში“ 450 მლრდ. აშშ დოლარით მსოფლიოში ყველაზე მდიდარი და გავლენიანი ტერორისტული ორგანიზაცია გახდა. ერაყში, ამერიკის სამხედრო ოპერაციის დაგეგმვის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე დევიდ კილკულენი (David Kilcullen) ამბობს, რომ „დაიშმა“ „ალ-კაიდა“ ჩრდილში მოიტოვა. რადიკალურმა ტერორისტულმა ორგანიზაციებმა „ალ-კაიდას“ ერთგულებაზე უარი განაცხადეს და „ისლამური სახელმწიფოს“ მოკავშირეები გახდნენ დასავლეთის წინააღმდეგ ბრძოლაში [24].

უკანასკნელმა ხუთასმა ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურემ ერაყი 2011 წლის 18 დეკემბერს დატოვა. ქვეყნიდან ამერიკის შეიარაღებული ძალების გასვლისა და „არაბული გაზაფხულის“ ფონზე, ერაყში სამოქალაქო მღელვარება დაიწყო. გამორჩეულად დიდი მასშტაბის პროტესტი ქვეყნის სუნიტურ რეგიონებში იყო. ერაყის ამ ნაწილში შიიტური მმართველობით უკმაყოფილება განსაკუთრებით დიდი იყო.

ცხადია, ეს შესაძლებლობა გამოიყენა „დაიშმა“. 2014 წლის გაზაფხულზე „ისლამური სახელმწიფო“ ერაყში უკვე აკონტროლებდა ფალუჯასა და სადამ ჰუსეინის მშობლიურ ქალაქ თიქრითს. 2014 წლის ივნისში, ჯიჰადისტებმა ერაყის სიდიდით მეორე ქალაქი მოსული დაიკავეს. მოსულის დაკავება გარ-


ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

დამტეხ მოვლენად იქცა, „ისლამური სახელმწიფო“ აღარ იყო იატაკქვეშეთში მოქმედი ტერორისტული ჯგუფი. ნათელი გახდა, რომ დაჯგუფება არა მხოლოდ ერაყსა თუ სირიას, არამედ მთელ მსოფლიოს უქმნიდა საფრთხეს [31].

გამარჯვებული „დაიშის“ ლიდერი აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი[39] 2014 წლის 29 ივნისს, შევიდა მოსულის ცნობილ ან-ნურის დიდ მეჩეთში, რათა გამოეცხადებინა ახალი „ისლამური სახალიფოს“ შექმნა [29]. ვიდეოგადაღების ნებართვის გაცემით, წვერიანი, ცოტა ჭარბწონიანი პირი ავიდა მინბარზე[40] რათა თავისი მიმდევრებისთვის მიელოცა კაცობრიობის ისტორიაში ახალი თავის დაწყება: „თქვენ დაიპყრობთ რომს და მთელ მსოფლიოს დაეუფლებით“. ალ-ბაღდადიმ თავი წინასწარმეტყველ მუჰამედის პირდაპირ მემკვიდრედ და ახალ ხალიფა იბრაჰიმად დაასახელა. ტერორისტმა მსოფლიოს მუსლიმებს მოუწოდა შეერთებოდნენ მის მოძრაობას. სახალიფოს გამოცხადებამ, ორგანიზაციას გლობალური მნიშვნელობა შესძინა.

მიუხედავად იმისა, რომ დაჯგუფების რესურსები, ადამიანური, ფინანსური, შეიარაღება, ტერიტორიული, ეტაპობრივად – თავდაპირველად 2017-ში, შემდეგ კი 2019-ში თითქმის გაქრა, IS-ი კვლავ არსებობს მცირე უჯრედების სახით და ზიანის მიყენება კვლავ შეუძლია.

2025 წლის 13 მარტს, აშშ-ის საჰაერო დარტყმამ დასავლეთ ერაყში მოკლა ISIS-ის გლობალური ოპერაციების ხელმძღვანელი და იმავდროულად ორგანიზაციის მეორე პირი, აბდალაჰ მაქი მუსლიჰ არრიფაი (Abdallah Makki Muslih al-Rifai), ასევე ცნობილი როგორც აბუ ხადიჯა (Abu Khadijah) [5]. აშშ-ის ცენტრალური სარდლობის ძალებმა, ერაყის სადაზვერვო და უსაფრთხოების ძალებთან თანამშრომლობით, ალ-ანბარის პროვინციაში განახორციელეს მაღალი სიზუსტის საჰაერო დარტყმა, რომელმაც აბუ ხადიჯა მოკლა. აბუ ხადიჯას იდენტიფიკაცია დნმ-ის ნიმუშის საშუალებით შეძლეს, რომელიც მანამდე ჩატარებული ოპერაციის დროს მოიპოვეს.

„როგორც ISIS-ის უმაღლესი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს ამირი, აბუ ხადიჯა ISIS-ის გლობალური ოპერაციების, ლოგისტიკისა და გეგმების განხორციელებაზე იყო პასუხისმგებელი და ორგანიზაციის გლობალური ქსელისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს მართავდა“, წერია აშშ-ის გენშტაბის განცხადებაში [25].

---

[39] **აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი** (არაბ.: أبو بكر البغدادي; ინგლ.: Abu Bakr al-Baghdadi ), დაბადებული როგორც **იბრაჰიმ ავად იბრაჰიმ ალი მუჰამად ალ-ბადრი ას-სამარაი** (Ibrahim Awad Ibrahim Ali Muhammad al-Badri al-Samarrai), იგივე **აბუ დუა** (Abu Dua) ან **აბუ ავადი** (Abu Awad), 28.07.1971-27.10.2019) – ერაყული წარმოშობის საერთაშორისო ფუნდამენტალისტი, რადიკალი ისლამისტი და ტერორისტი, „დაიშის“ ლიდერი 2014–2019 წლებში.

[40] **მინბარი** (არაბ.: منبر - ტრიბუნა, კათედრა) – ადგილი მეჩეთში, საიდანაც იმამი კითხულობს ქადაგებას.

## ლიტერატურა


1. Abdul-Zahra, Q., & Zeina, K. (2013, November 4). *Elusive Al-Qaeda leader in Syria stays in shadows*. The Times of Israel. Retrieved from https://www.timesofisrael.com/elusive-al-qaeda-leader-in-syria-stays-in-shadows/
2. Saouli, A. (2015). *The rise of Islamic State: ISIS and the new Sunni revolution*. Cambridge Review of International Affairs, 28(3), 498–500. Retrieved from https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/09557571.2015.1058070
3. Al-Istrabadi, F., & Ganguly, S. (2018). *The future of ISIS: Regional and international implications*. Brookings Institution Press. Retrieved from https://www.jstor.org/stable/10.7864/j.ctt1zctt19
4. Barret, R. (2014, November). *The Islamic State*. The SOUFAN Group. Retrieved from http://soufangroup.com/wp-content/uploads/2014/10/TSG-The-Islamic-State-Nov14.pdf
5. Bechocha, J. (2025, March 15). *How was ISIS' second-in-command killed in Iraq?* Rudaw. Retrieved from https://www.rudaw.net/english/middleeast/iraq/150320251
6. Berger, M. (2020, January 11). *Invaders, allies, occupiers, guests: A brief history of U.S. military involvement in Iraq*. The Washington Post. Retrieved from https://www.washingtonpost.com/world/2020/01/11/invaders-allies-occupiers-guests-brief-history-us-military-involvement-iraq/
7. Burke, J. (2024, December 10). *Syria's new leader has two identities – but which one will take the country forward?* The Guardian. Retrieved from https://www.theguardian.com/world/2024/dec/10/syria-new-leader-two-identities-ahmed-al-sharaa-abu-mohammed-al-jolani
8. Boghardt, L. P. (2014, August 31). *Qatar and ISIS funding: The U.S. approach*. The Washington Institute for Near East Policy. Retrieved from https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/qatar-and-isis-funding-us-approach
9. Boghardt, L. P. (2014, October 6). *Qatar is a U.S. ally. They also knowingly abet terrorism. What's going on?* The New Republic. Retrieved from https://newrepublic.com/article/119705/why-does-qatar-support-known-terrorists
10. Powell, C. (2003, February 5). *U.S. Secretary of State's address to the United Nations Security Council*. The Guardian. Retrieved from https://www.theguardian.com/world/2003/feb/05/iraq.usa
11. Gosselin-Malo, E. (2022, February 3). *The future of Qatar as major non-NATO ally to the U.S.* Italian Institute for International Political Studies, ISPI. Retrieved from https://www.ispionline.it/en/pubblicazione/future-qatar-major-non-nato-ally-us-33071
12. Haltiwanger, J. (2024, December 11). *What to know about the man who toppled Assad*. Foreign Policy Magazine. Retrieved from https://foreignpolicy.com/2024/12/11/syria-rebel-leader-jolani-hts-al-qaeda-islamic-state-isis/
13. Investigative Unit. (2006, February 4). *Pressure grows on al Qaeda in Iraq*. ABC News. Retrieved from https://abcnews.go.com/International/story?id=1557349
14. Muir, J. (2017, November 13). *The rise and fall of the Islamic State*. BBC News (In Russian). Retrieved from https://www.bbc.com/russian/features-41724612
15. Nuland, V. (2012, December 11). *Press statement - terrorist designations of the al-Nusrah Front as an alias for al-Qa'ida in Iraq*. The Department of State, Washington, DC. Retrieved from https://2009-2017.state.gov/r/pa/prs/ps/2012/12/201759.htm

16. Newsdesk. (2013, April 10). *Al-Nusra commits to al-Qaida, deny Iraq branch 'merger'*. Naharnet. Retrieved from http://www.naharnet.com/stories/en/78961-al-nusra-commits-to-al-qaida-deny-iraq-branch-merger/
17. Naval History & Heritage Command. (2025, March 10). *Operation Iraqi Freedom*. Retrieved from https://www.history.navy.mil/browse-by-topic/wars-conflicts-and-operations/middle-east/operation-iraqi-freedom.html
18. Peterson, N. (2017, August). *Future of ISIS: What do experts think will happen next?* NSI, Inc/ViTTa Analysis, 9. Retrieved from https://nsiteam.com/social/wp-content/uploads/2017/08/2017-Future-of-ISIS-Final.pdf
19. Central Intelligence Agency. (2018). *People/society, Iraq*. The World Factbook. Retrieved from https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/iz.html
20. Portyakova, N. (2006, October 17). *The terrorists separated Sunnis from Shiites. Council of mujahideen created Islamic State in Iraq*. Kommersant, 194. (In Russian). Retrieved from https://www.kommersant.ru/doc/713845
21. Sheglovin, Y. (2016). *Thinking about Islamic State*. Middle East Institute. (In Russian).
22. Stephens, M. (2014, September 1). *Islamic State: Where does jihadist group get its support?* BBC News. Retrieved from https://www.bbc.com/news/world-middle-east-29004253
23. RAND Corporation. (2018). *The Islamic State (terrorist organization)*. Retrieved from https://www.rand.org/topics/the-islamic-state-terrorist-organization.html
24. Radio Tavisupleba. (2014, September 3). *The rise of the Islamic State came as a surprise to the West*. RFE/RL Inc. (In Georgian). Retrieved from https://www.radiotavisupleba.ge/a/rise-of-isis/26565147.html
25. Tabula. (2025, March 15). *US Central Command – eliminated ISIS chief of global operations*. (In Georgian). Retrieved from https://tabula.ge/ge/news/731923-isis-globaluri-operatsiebis-kheldzghvaneli
26. Al-Jazeera Media Network. (2024, December 20). *US drops $10m reward for arrest of Syria's new leader after Damascus talks*. Retrieved from https://www.aljazeera.com/news/2024/12/20/us-officials-on-first-diplomatic-trip-to-syria-since-al-assads-removal
27. Weiss, M., & Hassan, H. (2015). *ISIS: Inside the Army of Terror*. Regan Arts.
28. Tabula. (2025, March 14). *What is happening in Syria and are Christians being killed?* (In Georgian). Retrieved from https://tabula.ge/en/news/731873-ra-khdeba-siriashi-khotsaven-tu-ara-kristianebs
29. Al-Jazeera Media Network. (2019, October 27). *Who was ISIL's self-proclaimed leader Abu Bakr al-Baghdadi?* Retrieved from https://www.aljazeera.com/news/2019/10/27/who-was-isils-self-proclaimed-leader-abu-bakr-al-baghdadi
30. Winter, C., & Al-Saud, K. A. (2016, December 4). *The obscure theologian who shaped ISIS*. The Atlantic. Retrieved from https://www.theatlantic.com/international/archive/2016/12/isis-muhajir-syria/509399/
31. Zakrua, A. (2019, November 3). *The rise and fall of the Islamic State - history in photos*. Tabula. (In Georgian). Retrieved from https://tabula.ge/ge/news/633542-islamuri-sakhelmcipos-aghzeveba-datsema-istoria
32. The Global Coalition against Daesh. (2025). *89 partners - united in ensuring Daesh's enduring defeat*. Retrieved from https://theglobalcoalition.org/en/mission/

UDC 323.325 / 297.8
SCOPUS CODE 3320
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-365-394

# The "Daesh" Phenomenon - History Of The Creation

**Zviad Tkabladze** Department of Political and International Relations, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: tkabladze.zviad@gtu.ge

**Reviewers:**
**T. Kiknadze,** Professor, Faculty of Law and International Relations, GTU
E-mail: kiknadzetamar12@gtu.ge
**M. Manchkhashvili,** Doctor, Assistant Professor, Faculty of Law and International Relations, GTU
E-mail: manchkhashvilimaia07@gtu.ge

**Abstract.** The article is devoted to the history of the creation of the world's most brutal terrorist organization - Daesh (Islamic State, IS, ISIS, ISIL). The purpose of the study is to find out the reasons for the emergence of the Daesh and what preconditions contributed to the formation of such an organization. In recent years, the Islamic State has become a powerful player in the Middle East, posing a serious threat not only to the countries of the region, but also to the stability and peace of the whole world. Daesh is a fighting machine created by fanatics, aiming at spreading their ideology around the world and creating a theocratic caliphate. It is based on an extremist-Islamist ideology that denies the right to life of people with other beliefs and views.

During its rise in 2014-2015, between 30,000 and 200,000 terrorists were enrolled in the ranks of Daesh and controlled a territory of 100,000 sq. km. in Iraq and Syria, which contributed to the growing chaos and already posed a serious threat to international security. Therefore, the US-led global coalition, the Iraqi army and other regional paramilitary groups began fighting against the Islamists and in 2019 declared their destruction.

Although the group's resources both human, financial, as well as armament and territory have gradually disappeared, first in 2017 and then in 2019, Daesh still exists in the form of small cells and retains the ability to cause harm, and the fight against it is not over yet.

**Keywords:** "Daesh"; "Islamic State"; Fight against international terrorism.

*განხილვის თარიღი 04.01.2025*
*შემოსვლის თარიღი 02.04.2025*
*ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025*